



ევროკავშირი
საქართველოსთვის



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

განათლების პოლიტიკა უსაფრთხოების სამსახურში



კვლევა განხორციელდა “სამოქალაქო იდეას” მიერ
“ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან” თანამშრომლობით

ავტორი:	თამარ ალექსიძე
რედაქტორი:	მარინე გორდელაძე



სარჩევი

შესავალი:	3
სამართლებრივი ჩარჩო: უმცირესობათა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები:	5
საერთაშორისო (უნივერსალური) სისტემა:	5
რეგიონალური (ევროპული) დონე:	6
ევროპის საბჭოს როლი:	6
ევროპის კავშირის როლი:	8
ეუთოს როლი:	9
ეროვნული სტანდარტები:	9
საერთაშორისო მხარდაჭერა და პროგრამები:	11
საქართველოს კონტექსტში არსებული გამოწვევები:	11
დასკვნა	13
განათლება, როგორც უსაფრთხოების საკითხი: განათლების როლი სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაში:	14
მულტიკულტურული სახელმწიფო - ერთიანობა, რომელიც მრავალფეროვნების პატივისცემაზეა დაფუძნებული	14
იდენტობა და მისი აღიარება: განსხვავებული ჯგუფების დაცვა/შენარჩუნება v.	
ასიმილაცია მულტიკულტურულ სახელმწიფოში	16
მულტიკულტურული/ინტერკულტურული განათლების წარმატებული მაგალითები: ..	17
საფრანგეთი:	18
საფრანგეთის სამართლებრივი ჩარჩო ინტერკულტურული განათლებისთვის:	18
უმცირესობებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პოლიტიკა:	19
სეკულარიზაცია და განათლება:	20
მრავალენოვანი და მულტიკულტურული განათლება:	20
მიგრანტი მოსწავლეების ინტეგრაციის სტრატეგიები:	20
სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლა:	21
სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრა:	21
საფრანგეთის განათლების სისტემის ძირითადი მახასიათებლები:	23
მიგრანტთა განათლების პროგრამები და მათი შედეგები:	23
საფრანგეთის განათლების სისტემის დადებითი პრაქტიკები მიგრანტებისთვის:	24
საფრანგეთის განათლების სისტემის ძირითადი წარმატებები მიგრანტებისთვის:	24
შვეიცარია:	25
სამართლებრივი ჩარჩო:	25
მიმდინარე გამოწვევები:	26

შეჯამება:	26
საგანმანათლებლო პოლიტიკა:	26
სპეციალური ღონისძიებები “ძველი” და “ახალი” უმცირესობებისთვის:	27
სპეციფიკური ინტეგრაციის ღონისძიებები:	28
შვეიცარიის განათლების სისტემის ძირითადი მახასიათებლები:	29
მიგრანტთა განათლების პროგრამები და მათი შედეგები:	30
შვეიცარიის განათლების სისტემის დადებითი პრაქტიკები მიგრანტებისთვის:	30
შვეიცარიის განათლების სისტემის ძირითადი წარმატებები მიგრანტებისთვის:	30
ლიეტუვა:	31
სამართლებრივი ჩარჩო:	31
კულტურული მრავალფეროვნება განათლებაში და სასწავლო მასალები:	31
უმცირესობათა ენების სწავლების პოლიტიკა:	32
ერთიანი სახელმწიფო ენის პროგრამა და ცენტრალიზებული გამოცდები:	33
დასკვნა:	33
ლიეტუვის განათლების სისტემა:	33
ლიეტუვის ენობრივი უმცირესობები:	34
უმცირესობათა განათლების გამოწვევები ლიეტუვაში:	34
კარგი პრაქტიკა უმცირესობათა განათლებაში:	34
სტრატეგიები უმცირესობათა განათლების გასაუმჯობესებლად:	35
იტალია:	35
სამართლებრივი ჩარჩო და რეგულირების მექანიზმები:	35
იტალიის კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო მრავალდონიანია:	36
იტალიის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მრავალკულტურული მიდგომა:	36
უმცირესობათა ენის სწავლება და კულტურული ხელშეწყობა:	37
საგანმანათლებლო პოლიტიკის გამოწვევები:	38
COVID-19-ის გავლენა:	38
კარგი პრაქტიკა:	38
მრავალკულტურიანობა vs. უმცირესობათა უსაფრთხოების საკითხი:	39
იტალიის განათლების სისტემა:	39
იტალიის ენობრივი უმცირესობები:	40
უმცირესობათა განათლების გამოწვევები:	40
კარგი პრაქტიკა უმცირესობათა განათლებაში:	41
სტრატეგიები უმცირესობათა განათლების გასაუმჯობესებლად:	41
ბიბლიოგრაფია:	42

შესავალი

საქართველო შავი ზღვის რეგიონში მდებარე მრავალკულტურული ქვეყანაა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობს და ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლო მონაცემებით, საქართველოში ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობებს შორის უმრავლესობას აზერბაიჯანელები და სომხები შეადგენენ. ეთნიკური აზერბაიჯანელების ძირითადი ნაწილი ქვემო ქართლშია დასახლებული, ხოლო დაახლოებით 15% კახეთში ცხოვრობს.

სომეხთა თითქმის ნახევარი სამცხე-ჯავახეთშია დასახლებული, ხოლო მათი 31.8% თბილისში ცხოვრობს. ამ ორ ეთნიკურ ჯგუფთან ერთად, საქართველოს მულტიეთნიკურობას ქმნიან ისეთი უმცირესობები, როგორიცაა რუსები, ოსები, იეზიდები, უკრაინელები, ქისტები, ბერძნები, ასირიელები და სხვა.

ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. ქართველური ენები აერთიანებს ქართულს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს. საქართველოში გვხვდება ბერძნული, თურქული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური ენები.¹ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართულის გარდა სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ აფხაზურს აქვს (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2.3).

ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნების კვალდაკვალ, საქართველოს მოსახლეობა მრავალფეროვანია რელიგიური აღმსარებლობის თვალსაზრისითაც. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია - 83%, თუმცა, ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა რელიგიური კონფესიაც. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელია. მართლმადიდებლები არიან ოსების, რუსების, ბერძნების, აფხაზების, ასირიელებისა და უღების უმეტესი ნაწილი, ასევე სომეხთა გარკვეული რაოდენობა, მათი დიდი უმრავლესობა თავს სომეხთა სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს.²

განსხვავებული რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, ძირითადად, კომპაქტურად ცხოვრობენ და მსგავსი ტიპის დასახლებები კონკრეტულ რეგიონებში გვხვდება. ქვემო ქართლში მართლმადიდებლებთან ერთად, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მუსლიმი თემი, ასევე სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები. სამცხე-ჯავახეთში მართლმადიდებლების გვერდით სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელთა დიდი თემი ცხოვრობს, ასევე გვხვდება კათოლიკე მოსახლეობაც. აჭარაში კი, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მართლმადიდებლები და მუსლიმები შეადგენენ.

შესაბამისად, ინტერეთნიკური და ინტერრელიგიური ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა საქართველოში, მნიშვნელოვნად განაპირობებს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

1. ტაბატაძე, შალვა, და გორგაძე, ნათია. 2020. "ინტერკულტურული მონიჭეულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში." თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი.

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს მოსახლეობის აღწერა 2014.

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად, მრავალფეროვან საინფორმაციო გარემოში, სადაც დემინფორმაცია, მილიონობით ნარატივი და ინფორმაციული გადატვირთულობა რეალობის აღქმას ართულებს. ასეთ პირობებში, მცირე გადახრაც კი ნაციონალიზმისკენ შესაძლოა არჩევნებში წარმატების მომტანი გახდეს. ამავდროულად, საქართველოს კონტექსტში კვლავ არაგარანტირებული დემოკრატიის პირობებში ვცხოვრობთ, სადაც დემოკრატიული ფასეულობები ტრადიციულ ღირებულებებთან თანაარსებობს.

ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის პროგრესული განვითარების შესაძლებლობას ქმნის, თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფო თუ არაგონივრულად იმოქმედებს, არსებობს რისკი, რომ განვითარება არასასურველი მიმართულებით წარიმართოს”.³ ასეთ ვითარებაში უსაფრთხოების რისკები იზრდება, რაც, როგორც წესი, ნეგატიურად აისახება უმცირესობათა მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი, საქართველოს მსგავს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში. სირთულეები კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს იმ საზოგადოებებში, სადაც კონსოლიდირებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებთან შედარებით, კულტურა ჯერ კიდევ არ არის სრულად ინტეგრირებული სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებში, სამართალში, ფორმალური ნორმებითა და ურთიერთობებით, იქ, სადაც ჯერ ისევ „მთავარია არა კანონი, არამედ დამოკიდებულება მასთან“, რაც არ გამოირიცხავს ამ უკანასკნელის ნორმატიულ ჩარჩოს სათანადო ღირებულებას.⁴

რამ უნდა დააზღვიოს ეს რისკები?

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების მაგალითი აჩვენებს, რომ ამგვარი დამზღვევი ფუნქციის მატარებელი შეიძლება იყოს სამოქალაქო განათლება, ანუ ისეთი განათლების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება განსხვავებულის პატივისცემას თანასწორ მოქალაქეთა ერთობის ერთიან სახელმწიფო ქსოვილად შეკავშირების პირობებში. **თანამედროვე განათლების წინაშე დგას ამოცანა – გაითვალისწინოს საზოგადოების მულტიკულტურული მახასიათებლები და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტეგრაციას.**

საერთაშორისო თანამეგობრობა ერთსულოვანია იმაში, რომ ხარისხიანი განათლება წარმოადგენს მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას. სწორედ ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალურმა ასამბლეამ, 2015 წელს მიიღო რეზოლუცია - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც იმავე წელს შევიდა ძალაში. წევრმა ქვეყნებმა 2030 წლისთვის მისაღწევ მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG) შორის შეიტანეს „ინკლუზიური (მონაწილეობითი) და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის“ (SDG-4).

უამრავი გამოწვევის ფონზე, საქართველო სრულფასოვანი სამოქალაქო იდენტობის ფორმირების პროცესშია. შესაბამისად, საინტერესოა, სხვადასხვა მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითის ფონზე განვიხილოთ, თუ რა გზა გაიარეს დღემდე და როგორ ადაპტირდა უმცირესობათა მონაწილეობაზე ორიენტირებული სახელმწიფოთა საგანმანათლებლო მიდგომები, როგორია სტანდარტის დამდგენი ნორმატიული ჩარჩო, რა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ამყარებს სახელმწიფოების ვალდებულებებს პატივი სცენ ეროვნული უმცირესობების უფლებებს და ა.შ. ჩვენი ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს ეხება.

3. მასალკინი, გიორგი. „საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა: საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?“ სამოქალაქო იდეა, თბილისი, 2020. გვ.74.

4. იქვე, გვ.68-70.

კვლევა წარმოადგენს მცდელობას ერთ სივრცეში გაერთიანდეს სამოქალაქო იდენტობის ფორმირების სხვადასხვა დისციპლინაში განხილული თემები (კულტურული, საგანმანათლებლო, სამართლებრივი და სხვა) და მიმოიხილავს მრავალფეროვნების პრაქტიკაში დანერგვას საფრანგეთის, შვეიცარიის, ლიეტუვის და იტალიის განათლების პოლიტიკის მაგალითებზე.

სამართლებრივი ჩარჩო: უმცირესობათა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები

უმცირესობათა უფლებები დაცულია საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, რაც მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და რბილი სამართლის ინსტრუმენტებს. პარალელურად, საქართველოში მოქმედებს ეროვნული სამართლებრივი სტანდარტები. უმცირესობათა უფლებებზე საუბრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების უფლება და უმცირესობათა ენების დაცვა, რაც მჭიდრო კავშირშია კულტურულ იდენტობასა და ინტეგრაციის პროცესთან. წინამდებარე თავი მოკლედ განიხილავს ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებების რეალიზაციის საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს.

უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით შეგვიძლია გამოვყოთ და განვიხილოთ სამშრიანი სისტემა:

- » საერთაშორისო,
- » რეგიონალური (ევროპული)
- » ეროვნული.

საერთაშორისო (უნივერსალური) სისტემა

გაეროს ფარგლებში უმცირესობათა უფლებების დაცვას ემსახურება შემდეგი საერთაშორისო ინსტრუმენტები:

1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

უმრუნველყოფს უმცირესობათა უფლებებს განათლებაზე თანასწორი წვდომით, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციას, კულტურულ აღიარებას და დისკრიმინაციის აღკვეთას. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციას არ გააჩნია იურიდიულად სავალდებულო ძალა, მისი დებულებები, მათ შორის განათლების უფლებასთან დაკავშირებული 26-ე მუხლი ჩვეულებითი სამართლის ნაწილად იქცა და ამგვარად, სამართლებრივად მბოჭავია

2 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

აღიარებს უმცირესობების უფლებას, გამოიყენონ საკუთარი ენა და შეინარჩუნონ კულტურული თვითმყოფადობა. საქართველო პაქტს 1994 წლის 3 აგვისტოს მიუერთდა.

საქმეში *Ballantyne v. Canada* (ადამიანის უფლებათა კომიტეტი) – კომიტეტმა აღიარა ოფიციალური ენის პოლიტიკის ლეგიტიმურობა. თუმცა, საერთაშორისო სამართალი არ აკისრებს სახელმწიფოებს აბსოლუტურ ვალდებულებას ოფიციალურ გარემოში უმცირესობათა ენების გამოსაყენებლად.

3 ეკონომიკური, სოციალური და კულტ. უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

უზრუნველყოფს უმცირესობათა განათლების უფლებას, ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და კრძალავს დისკრიმინაციას. საქართველო პაქტს 1994 წლის 3 მაისს მიუერთდა.

4 კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

იცავს უმცირესობათა უფლებებს განათლებაზე თანასწორი წვდომითა და კულტურული და ენობრივი იდენტობის პატივისცემის უზრუნველყოფით. საქართველო ამ კონვენციას 1994 წლის 2 ივნისს შეუერთდა.

5 რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია

უზრუნველყოფს განათლების უფლების რეალიზებას დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის რასობრივი, კანის ფერის, ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. საქართველო CERD-ს 1999 წლის 2 ივნისს შეუერთდა.

6 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

უზრუნველყოფს უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისა და გოგონებისთვის განათლებისა და თანასწორობის უფლებას. საქართველო ამ კონვენციას 1994 წლის 26 ოქტომბერს შეუერთდა.

7 იუნესკოს განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია

კრძალავს განათლებაში დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს უმცირესობებისთვის განათლებაზე წვდომას მათ ენაზე. საქართველო ამ კონვენციას 1992 წლის 4 ნოემბერს შეუერთდა.

8 გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობათა უფლებების შესახებ

მოუწოდებს სახელმწიფოებს, დაიცვან ენობრივი და კულტურული უმცირესობები. დეკლარაციით განმტკიცებული პრინციპები უნივერსალურად აღიარებულია.

ევროპული (რეგიონალური) დონე

ევროპის საბჭოს როლი

ევროპის საბჭო უმცირესობათა დაცვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემდეგი ინსტრუმენტების საშუალებით:

1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR)

მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს სპეციფიკურ მუხლებს უმცირესობათა დაცვისთვის, რამდენიმე მუხლი (8, 9, 10, 11) გამოიყენება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) მიერ უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფად. ამასთან, უმცირესობათა განათლების უფლება დაცულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით, როგორც ცალკე, ისე კონვენციის მე-14 მუხლთან ან მე-12 დამატებითი ოქმთან

(დისკრიმინაციის საყოველთაო აკრძალვა) ერთობლიობაში. საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ECHR) 1999 წლის 20 მაისს შეუერთდა. გარდა ამისა, საქართველომ კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის რატიფიცირება განახორციელა 2001 წლის 15 ივნისს, დოკუმენტი ძალაში 2005 წლის 1 აპრილს შევიდა.

უმრუნველყოფს უმცირესობათა განათლების უფლებას, ხელს უწყობს კულტურულ (დისკრიმინაციის საყოველთაო აკრძალვა) ერთობლიობაში. საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (ECHR) 1999 წლის 20 მაისს შეუერთდა. გარდა ამისა, საქართველომ კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის რატიფიცირება განახორციელა 2001 წლის 15 ივნისს, დოკუმენტი ძალაში 2005 წლის 1 აპრილს შევიდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღსრულების მექანიზმს წარმოადგენს. საყურადღებოა სასამართლოს პრაქტიკა, ე.წ. case-law, რომელიც ხშირ შემთხვევაში სტანდარტის დამდგენ ფუნქციას ატარებს. საეტაპო საქმეში D.H. და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (2007) – ევროპულმა (სტრასბურგის) სასამართლომ ევროპული ღირებულებების ნაწილად აღიარა უმცირესობათა დაცვა და დაადგინა დისკრიმინაცია განათლების უფლებასთან მიმართებით. საქმეში Gorzelik პოლონეთის წინააღმდეგ (2004) – სასამართლომ დაადასტურა, რომ დემოკრატიულმა საზოგადოებებმა აქტიურად უნდა უმრუნველყონ უმცირესობათა იდენტობის დაცვა. საქმე Catan and Others v. Moldova and Russia (2012) ეხებოდა ენის უფლებების დაცვას განათლების მიღების პროცესში - ტრანსნისტრიაში, დნესტრისპირეთში მოსწავლეებს რუმინულ (მოლდოვურ) ენაზე ლათინური ანბანით სწავლება აუკრძალეს. ECtHR-მა რუსეთი პასუხისმგებლად ცნო განათლების უფლებების დარღვევაში (ECHR-ის დამატებითი ოქმი №1, მუხლი 2). მოლდოვის მხრიდან დარღვევა არ დადგენილა, მაგრამ სასამართლომ მოუწოდა გააგრძელოს ძალისხმევა უმცირესობათა ენების დასაცავად.

2 ევროპის სოციალური ქარტია (მუხლი 17)

უმრუნველყოფს განათლების თანასწორ უფლებას და ბავშვთა კულტურული იდენტობის დაცვას. საქართველო ქარტიას 2005 წლის 22 აგვისტოს შეუერთდა.

3 რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტია (1992)

იცავს უმცირესობათა ენებს, თუმცა სახელმწიფოებს ფართო შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას აძლევს. საქართველომ ქარტიას 2005 წელს მოაწერა ხელი, თუმცა არ განხორციელებულა მისი რატიფიცირება.

4 ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია (1995)

ადგენს უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებათა ერთგვარ კატალოგს და უმრუნველყოფს: ინდივიდის თავისუფლებას იდენტიფიცირდეს (ან არ იდენტიფიცირდეს) როგორც უმცირესობის წევრი (მუხლი 3); დაიცვას დისკრიმინაციისგან (მუხლი 4); და უფლებას, გამოიყენოს უმცირესობის ენა საჯარო და პირად სივრცეში (მუხლი 10). კონვენცია ასევე, ითვალისწინებს განათლების უფლებას და უმცირესობათა წარმომადგენელთა განათლებაში ჩართულობის გარანტიებს (მუხლები 12-14). მე-12 მუხლი მოიცავს სამ ქვეპუნქტს, რომლებიც ეხება განათლების სფეროში აღნიშნული პირების საჭიროებებსა და ინტერესებს და უმრუნველყოფს კომუნიკაციის შესაძლებლობას ქვეყნის ყველა თემსა და ინდივიდს შორის. ამას მოჰყვება უფლება, დააარსონ და მართონ საკუთარი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები (მუხლი 13) და განათლებაში ენობრივი

უფლებების დაცვის გარანტიები (მუხლი 14). საქართველომ კონვენციის რატიფიცირება განახორციელა 2005 წლის 22 ოქტომბერს.

ამასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მრავალი რეკომენდაცია განსაზღვრავს შესაბამის ჩარჩოებს განათლების სფეროში ქმედებებისთვის, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოლო რეკომენდაციებს პლურილინგვური და ინტერკულტურული განათლების შესახებ, ასევე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში. (CM/Rec(2008)7, CM/Rec(2023)9)

ევროპის კავშირის როლი

ევროკავშირს არ აქვს სპეციფიკური ხასიათის ინსტრუმენტები უმცირესობათა დაცვისთვის, თუმცა, უმცირესობათა დაცვა ევროკავშირის ღირებულებათა სისტემის ნაწილია. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება სახელმწიფოს ნორმატიული ბაზის, პოლიტიკისა და პრაქტიკის მეტ დაახლოებას გულისხმობს ევროკავშირთან.

აღსანიშნავია, ასევე, რომ 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა, მიზნად დაისახა საქართველოს ნორმატიული ჩარჩოს, პოლიტიკებისა და პრაქტიკის კიდევ უფრო დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს უმცირესობათა დაცვის სფეროში (acquis communautaire-ის ფარგლებში) შეზღუდული კომპეტენცია აქვს, ასოცირების ხელშეკრულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში უმცირესობათა უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე, რადგან იგი ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ფართო პოლიტიკის ნაწილად განიხილება.

ევროკავშირის პირველადი სამართლის წყაროებიდან, საყურადღებოა, ხელშეკრულება „ევროკავშირის შესახებ“ და ხელშეკრულება „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“. „ევროკავშირის შესახებ“ ხელშეკრულების მე-2 მუხლი უმცირესობათა უფლებების პატივისცემასა და დისკრიმინაციის აკრძალვას იმ ღირებულებად ასახელებს, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირი, მე-3 მუხლი კი კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების პატივისცემას განამტკიცებს. ამასთან, „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების მე-10 და მე-19 მუხლები ითვალისწინებენ დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მათ შორის, რასობრივი და ეთნიკური ნიშნით.

ასევე, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულებით პირველადი სამართლის რანგში იქნა აყვანილი, შესაძლოა, ეფექტიანი ინსტრუმენტი აღმოჩნდეს უმცირესობათა უფლებების დასაცავად. ქარტიის 21-ე მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის, ეროვნული უმცირესობის კუთვნილების ნიშნით, ხოლო ქარტიის 22-ე მუხლი განამტკიცებს კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნების პატივისცემას.

რაც შეეხება ევროკავშირის მეორადი სამართლის წყაროებს, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული სამართლის წყაროები, რადგან კონკრეტულად უმცირესობათა უფლებები მდგომარეობაზე ორიენტირებული დოკუმენტი არ არსებობს.

საყურადღებოა, 2000 წელს მიღებული დირექტივა „რასობრივი თანასწორობის შესახებ“ და ამავე წელს მიღებული დირექტივა - „სამუშაო ადგილზე თანაბარი მოპყრობის შესახებ“,

რომლებიც, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას უმცირესობათა უფლებების დასაცავად.

საგულისხმოა, ევროკავშირის დამატებითი სამართლის წყაროებიც, რომლებსაც მხოტავი ძალა არ გააჩნიათ, თუმცა, პირდაპირ მიემართება უმცირესობათა უფლებების დაცვის ასპექტებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უმცირესობათა უფლებების ადვოკატირებაში. კერძოდ, უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით, არაერთი რეზოლუცია იქნა მიღებული ევროპარლამენტის ინიციატივით.⁵

ამასთან, კოპენჰაგენის კრიტერიუმები ევროკავშირში განევრიანების მსურველ ქვეყნებს ავალდებულებს, დაიცვან უმცირესობათა უფლებები. საქართველო, როგორც 2023 წლის დეკემბრიდან ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, ამ ვალდებულებას ექვემდებარება.

ეუთოს როლი

ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში (HCNM) იცავს უმცირესობათა უფლებებს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო სახელმძღვანელო პრინციპებით:

1 ჰააგის რეკომენდაციები (1996):

ხაზს უსვამს განათლების როლს უმცირესობათა ენებისა და კულტურის შენარჩუნებასა და კონფლიქტების თავიდან აცილებაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ასეთ პირებს უნდა შეეძლოთ, როგორც მშობლიური ენის გამოყენება, ასევე, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე შესწავლა, რათა შეძლონ საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაცია.

2 ლიუბლიანას სახელმძღვანელო პრინციპები (2012):

გამოყოფს განათლებას, როგორც ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების პატივისცემის აუცილებელ ფაქტორს.

3 2023 წლის რეკომენდაციები:

გამოყოფს განათლებას, როგორც ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების პატივისცემის აუცილებელ ფაქტორს.

ეროვნული სტანდარტები

1 საქართველოს კონსტიტუცია

კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობების დაცვის, მათი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, ვალდებულებების შესახებ კონკრეტული ვალდებულებები არ არსებობს. ეროვნული უმცირესობების საკითხი, ზოგადი რეგულირების საგნად არის მიჩნეული და მხოლოდ მე-11 მუხლში, რომელიც თანასწორობის უფლებას ეხება, ნახსენებია ამგვარი ფორმით: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. ამასთან, კონსტიტუციის 27-ე მუხლი უზრუნველყოფს უფასო

5. Resolution on Measures in favour of Linguistic and Cultural Minorities 1983;

და საყოველთაო განათლებას თითოეული მოქალაქისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.

2 კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

გარდა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლებისა, საქართველოს 2014 წლის კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ პირველ მუხლში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ყველა ფორმის დისკრიმინაცია, მათ შორის ეთნიკური ნიშნით წარმოქმნილი. აღსანიშნავია, რომ უფრო კონკრეტული ჩანაწერები ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით არც ამ კანონში გვხვდება. თუმცა საქართველოს, ეროვნული უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით, არაერთი საერთაშორისო ვალდებულება აქვს აღებული და საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს. კანონმა უნდა უზრუნველყოს განათლების თანასწორი შესაძლებლობები ყველასთვის.

3 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“⁶

(მიღებული და გამოქვეყნებულია 2005 წელს). კანონი განსაზღვრავს საქართველოს დანაყოფით და საშუალო განათლების ჩარჩოს. იგი აწესებს უფასო და სავალდებულო განათლებას, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებისთვის, თუმცა, უმცირესობათა ენებზე განათლების მიწოდება შეზღუდულია. აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ქართულ ენაზე, მაგრამ არ ითვალისწინებს საკმარის მხარდაჭერას უმცირესობათა ენებზე განათლების განვითარებისათვის, როგორცაა სომხური ან აზერბაიჯანული (მუხლი 4).

4 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია

2021-2030

მიღებულ იქნა საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ორენოვან განათლებაზე, ანტიდისკრიმინაციულ ზომებსა და პოლიტიკურ მონაწილეობაზე. სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს დაახლოებით 200 ღონისძიებას, რომლებიც მისი მიზნების შესრულებას ისახავს. თუმცა, სტრატეგიის აღსრულება ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდება, რადგან მას არ გააჩნია კონკრეტული ზომები უმცირესობათა ენებზე განათლების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის) თითოეული პრიორიტეტული მიმართულება თემურ უფლებებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე გასატარებელ ღონისძიებებს მიზნებისა და ამოცანების სახით. მესამე პრიორიტეტად განსაზღვრულია თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი დანერგვა პრაქტიკაში და ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც ამავე დოკუმენტის მიხედვით, მიზნად ისახავს უმცირესობების უფლებების დაცვის გაძლიერებას და თანასწორი გარემოს განმტკიცების ხელშეწყობას. მოცემული მიზნის მიღწევის ფარგლებში, ამოცანად დასახელებულია „სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და საჯარო პროცესებში მონაწილეობის გაუმჯობესებისა და სრულფასოვანი სამოქალაქო თანასწორობის მისაღწევად.“ (ამოცანა „გ“).

6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=109>

საერთაშორისო მხარდაჭერა და პროგრამები

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა UNICEF და ეუთო (OSCE), მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით კი, ენის მხარდაჭერის პროგრამების გზით.

ეს ინიციატივები მიზნად ისახავს უმცირესობათა საზოგადოებებისთვის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ორენოვანი (ე.წ. ბილინგვური) განათლების ხელშეწყობას, თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება შეზღუდული რესურსებისა და განხორციელების ბარიერების გამო.

საქართველოს კონტექსტში არსებული გამოწვევები

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიცაა UNICEF და ეუთო (OSCE), მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით კი, ენის მხარდაჭერის პროგრამების გზით.

ეს ინიციატივები მიზნად ისახავს უმცირესობათა საზოგადოებებისთვის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ორენოვანი (ე.წ. ბილინგვური) განათლების ხელშეწყობას, თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება შეზღუდული რესურსებისა და განხორციელების ბარიერების გამო.

მიუხედავად მცდელობებისა, რომ გაუმჯობესდეს უმცირესობებს მიმხული პირების ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე, საქართველოში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერებისა და უმცირესობათა ენებზე საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით.

- **ენობრივი ბარიერი:** ეთნიკური უმცირესობებისთვის, განსაკუთრებით სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება სირთულეს წარმოადგენს, რადგან საქართველოს განათლების სისტემა ძირითადად ქართულ ენაზე ფუნქციონირებს.

- **განათლების ხარისხი:** ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების შედეგები ხშირად დაბალია, რადგან ორენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა შეზღუდულია, განსაკუთრებით კი, რეგიონებში.

- **კულტურული ინტეგრაცია:** მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც უმცირესობათა ინტეგრაციას უზრუნველყოფს, მათი პრაქტიკული განხორციელება არათანაბარია, რის გამოც უმცირესობებისთვის უმაღლესი ხარისხის განათლებაზე წვდომა ყოველთვის უზრუნველყოფილი არ არის, განსაკუთრებით რეგიონებში.

2024 წელს ჩატარებული კვლევის, Education in the Eastern Partnership: Findings from PISA OECD/UNICEF 2024, მიხედვით, საქართველოში განათლების შესაძლებლობებში მნიშვნელოვანი უთანასწორობა შეინიშნება. უპირატეს მდგომარეობაში მყოფი მოსწავლეები ბევრად უფრო ხშირად ესწრებიან სკოლამდელ განათლებას, ხოლო ქალაქებში მცხოვრები მოსწავლეები საგრძნობლად უსწრებენ რეგიონებში მცხოვრებ თანატოლებს. მათემატიკაში დაბალი მიღწევები განსაკუთრებით შესამჩნევია იმ მოსწავლეებში, რომლებიც ოჯახში განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რაც, ასევე, მნიშვნელოვანწილად მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება (OECD, 2023[57]; OECD/UNICEF, 2024). ამ რეგიონებში სკოლებს განსაკუთრებით აკლიათ

საგანმანათლებლო მასალები და რესურსები, რაც უარყოფითად აისახება სწავლის ხარისხზე.

ამ პრობლემების გადასაჭრელად, საჭიროა მიზნობრივი პოლიტიკა, რომელიც მხარს დაუჭერს სოფლის რეგიონების განათლებას ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებითა და სკოლების ქსელის გადახალისებით. უმცირესობათა ენის მქონე მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში დახმარების გაძლიერება აუცილებელია, რაც მოიცავს მასწავლებელთა განათლების გაუმჯობესებასა და სპეციალური მხარდაჭერის პერსონალის დანერგვას (Council of Europe, 2023[56]). მეორადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში. საჭიროა პროფესიული განათლების გაძლიერება, სავალდებულო სწავლების ვადის გახანგრძლივება და სასურველია პირობითი ფულადი დახმარების სისტემის დანერგვა, რაც მოსწავლეებს სწავლის დასრულებაში დაეხმარებათ (OECD/UNICEF, 2024).

უკვე ოცი წელია, საქართველო აქტიურად მუშაობს უმცირესობათა განათლების სისტემაში ინტეგრაციამდე, რაც მოიცავს ორენოვანი სწავლების დანერგვასა და გაუმჯობესებულ მეორე ენის სახელმძღვანელოებს (Burduli, 2021[55]). მიუხედავად ამისა, უთანასწორობა კვლავ შენარჩუნებულია, რაც მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესების საჭიროებას აჩვენებს. სასწავლო პროგრამებში უნდა ინტეგრირდეს კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია და მეორე ენის შესწავლის მეთოდოლოგია (Lawal, 2021[58]). მოქმედმა მასწავლებლებმა უნდა გაიარონ პროფესიული გადამზადება, რათა უკეთესად გაიაზრონ მრავალენოვანი მოსწავლეებისა და მათი მშობლების საჭიროებები. ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად დანია, უკვე ახორციელებს მასწავლებელთა მომზადების რეფორმას, რათა ისინი უკეთ მოემზადონ მრავალენოვანი და კულტურულად მრავალფეროვანი კლასებისთვის (OECD, 2019[19]). მიუხედავად არსებული ძალისხმევებისა, საქართველოში განათლების უთანასწორობის დაძლევა დამატებით რეფორმებს მოითხოვს, რათა ყველა მოსწავლემ თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები მიიღოს (OECD/UNICEF, 2024).

უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ მეოთხე ციკლის მოსაზრება, საქართველოს მხრიდან მიღებულ იქნა 2024 წლის 7 თებერვალს, რომლის მიხედვით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და ენების სასწავლო პროგრამათა შინაარსი კვლავ სპორადული და არასაკმარისია. უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოები, ასევე, უმცირესობათა ენისა და ლიტერატურისათვის, უმეტესად იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან, ვიდრე ადგილობრივად საქართველოში შეიქმნას და დაიბეჭდოს. სასწავლო-საგანმანათლებლო მასალები კი, ხშირად დაბალი ხარისხისაა.⁷

საგულისხმოა, რომ 2023 წელს ჩატარებულ ბოლო კვლევებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეა“ (CIVIC IDEA) ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული „თანასწორობის პოლიტიკა“ შეისწავლა ქართული ენის და ლიტერატურის (7-12 კლასები) და ისტორიის (6-12 კლასები) საგნის სახელმძღვანელოების მაგალითზე.⁸ კვლევის შედეგები საყურადღებოა არაერთი მიმართულებით, მათ შორის ინტერკულტურული ანალიზის, „წარსულის გადაფასების“ სახელმწიფო

7. მრჩეველთა კომიტეტი ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესახებ. მეოთხე მოსაზრება საქართველოს შესახებ: შეჯამება. ევროპის საბჭო, 2024. გვ.4.

8. საქართველოს ისტორია (მე-6-12 კლასები), ქართული ენა და ლიტერატურა (მე-7-12 კლასები), სამოქალაქო განათლება / სამოქალაქო თავდაცვა-უსაფრთხოება (მე-4, მე-7-12 კლასები), გეოგრაფია (მე-7-11 კლასები) ხელოვნების ისტორია / სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (მე-2,3, მე-7-9 კლასები). აღნიშნული სახელმძღვანელოები სხვადასხვა პერიოდში (2004-2021 წწ.) გრიფინიჭებული და გამოცემული. მონიტორინგის ფარგლებში ასევე მოხდა XII კლასის ქართულ-სომხურენოვანი სახელმძღვანელოს რევიზია (2010 წ.).

მიდგომების, სახელმწიფო განვითარების ხედვების და ა.შ. თვალსაზრისით. ისტორიის სახელმძღვანელოებთან მიმართებით, კვლევის მიხედვით „შემამფოთებელია, მეორე მსოფლიო ომის, საბჭოთა რევოლუციის, სტალინის პერიოდის და რუსული ოკუპაციის ისტორიის სწავლების მიდგომები.“⁹ რაც შეეხება რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვას, ავტორთა აზრით, „მართალია, სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოში გვხვდებით ჩანაწერებს ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობის, უმცირესობების ჩართულობის აუცილებლობაზე, თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენს სახელმძღვანელოებისათვის ორგანულ, გამჭოლ მოცემულობას.“ მაგალითად, სახელმძღვანელოში 1918-1920 წლების თბილისის კულტურული ცხოვრების თავისებურებებზე თხრობა არ მოიცავს ინფორმაციას თბილისის კულტურული ყოფისგან განუყოფელი, ეთნიკურად არაქართველი პიროვნებების, მათი დამსახურებების შესახებ.¹⁰ იქ სადაც ადგილი ეთმობა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს და მათ მოღვაწეობას, ინფორმაცია სახელმძღვანელოს ბოლოშია მოქცეული¹¹ და პედაგოგს საგანმანათლებლო კალენდრით გაზაფხულის სემესტრის ბოლო კვირას უწევს მოსწავლეთათვის მისი გაცნობა, რაც დროის სიმცირის გამო ხშირად ვეღარ ესწრება. „რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების თემებზე საუბრისას, რიგ შემთხვევებში, გვხვდება საკმაოდ საინტერესო დავალებები, თუმცა, როგორც წესი, გაბატონებული პრაქტიკაა, რომ მათ მასწავლებლები არ განიხილავენ გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, შესაბამისად ეს დავალებები არ აღიქმება ძირითადი მასალის ნაწილად;¹² კიდევ უფრო დამაფიქრებელია სახელმძღვანელოებში მოსწავლეთათვის სამსჯელოდ გამოტანილი კითხვების მიზნობრიობა, შინაარსი, ფორმა და კონტექსტთან ბმა.

დასკვნა

საქართველოში უმცირესობათა განათლება ძირითადად რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით და „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიით“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის წევრი და ევროპული ქარტიის (რეგიონული ან უმცირესობათა ენების დაცვის შესახებ) ხელმომწერი, ქვეყანას ჯერ არ აქვს რატიფიცირებული ეს უკანასკნელი. ეს ნიშნავს, რომ უმცირესობათა ენებზე განათლების დაცვის კონკრეტული მექანიზმები სამართლებრივად აღსრულებადი არ არის.

საერთაშორისო მხარდაჭერა და ეროვნული სტრატეგიები ნაწილობრივ უზრუნველყოფს უმცირესობათა განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევას, თუმცა, არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი კვლავ გამოწვევად რჩება.

9. სამოქალაქო იდეა, სასკოლო სახელმძღვანელოების მონიტორინგი „საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი ქვეყანა“, (თბილისი, 2023):5, <https://rebrand.ly/fa3rupx>.

10. „საქართველო და მსოფლიოს ისტორია“ (მე-9 კლასი), (დიოგენე, 2021, ნაწილი II) მე-2 ქვეთავი.

11. იქვე, მე-2 ნაწილის ბოლო ქვეთავი.

12. სამოქალაქო იდეა, ისტორიის სახელმძღვანელოების მონიტორინგი, (2023):8.

განათლება, როგორც უსაფრთხოების საკითხი: განათლების როლი სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებაში

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დაცვის მექანიზმები წარმოადგენს სამოქალაქო იდენტობის საფუძველს, სახელმწიფოთათვის რეალური გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ უფლებრივი ალიარების პარალელურად მოხდეს ინდივიდების ინტეგრაცია უფრო ფართო ეროვნულ თემში (საზოგადოებაში) თანაც იმგვარად, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა შეძლონ საკუთარი უნიკალური კულტურული, ლინგვისტური თუ ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება. შესაბამისად, სამოქალაქო იდენტობის ცნება საგულდაგულოდ უნდა იყოს დაბალანსებული ინდივიდის მრავალფეროვნების ალიარებით. ეს გამოწვევა კარგად ვლინდება ასიმილაციის v. ინტეგრაციის შეპირისპირების თემაზე წარმოებულ დებატებში, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია უსაფრთხოების გამოწვევების, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მქონე სახელმწიფოებში და ყოველ ჯერზე ახალ ძალას იკრებს უკიდურესად ნაციონალისტური, რადიკალური იდეოლოგიების პოპულარიზაციის პარალელურად. ეს დინამიკა ხშირად გავლენას ახდენს საზოგადოებრივ დისკურსსა და პოლიტიკის ფორმირებაზე, რომელიც თავის მხრივ აყალიბებს დამოკიდებულებებს უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ. ასეთ გარემოში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და ინკლუზიური სამოქალაქო სივრცის ჩამოყალიბებას შორის დაძაბულობა უფრო თვალსაჩინო ხდება. მისი განმუხტვა მოითხოვს გონივრულ მიდგომებს, მათ შორის, გააზრებულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე დაფუძნებულ ინტერვენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს (შეაკავშირებს) სოციალურ ერთობას ინდივიდუალური უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების არათანაბომიერი შეზღუდვის გარეშე.

ლიბერალი თეორეტიკოსები, მაგალითად უილ კიმლიკა, ამტკიცებს, რომ ნამდვილი ინტეგრაცია გულისხმობს ჯგუფზე დაფუძნებული განსხვავებული უფლებების (group-differentiated rights) ალიარებას, რაც ინდივიდებს არ აიძულებს უარი თქვან თავიანთ კულტურულ იდენტობაზე, მაშინ როცა სხვები საზოგადოებრივი ერთობის უზრუნველსაყოფად კულტურული ასიმილაციის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. რეალური მაგალითები, როგორიცაა საფრანგეთში ჰიჯაბის აკრძალვა, ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოს სურვილს შეინარჩუნოს ერთიანი ეროვნული იდენტობა ინდივიდუალური კულტურული პრაქტიკების პატივისცემის აუცილებლობის ფონზე. ამ შემთხვევაში, საფრანგეთის ლაიცისტური (laïcité) მოდელი გამოხატვის თავისუფლებაზე საკამათო სამართლებრივი შეზღუდვების საფუძვლად იქცა, რაც ხშირად აღიქმება როგორც მუსლიმი ქალების უფლებების დარღვევა. ანალოგიურად, ბელგიის მრავალენოვანი საგანმანათლებლო პოლიტიკა ფლამანდურ და ფრანკოფონურ რეგიონებში წარმოადგენს მცდელობას ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და ერთიანი ეროვნული ჩარჩოს შენარჩუნებას შორის ბალანსის შექმნისთვის, თუმცა, ამავდროულად კვლავ არსებობს გამოწვევები ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

მულტიკულტურული სახელმწიფო - ერთიანობა, რომელიც მრავალფეროვნების პატივისცემაზეა დაფუძნებული

მულტიკულტურული სახელმწიფოებისთვის გამოწვევა მხოლოდ ხილული მრავალფეროვნების ალიარებით არ შემოიფარგლება, ასევე აუცილებელია მართონ უფრო ღრმა ეთნიკური და რელიგიური თავისებურებები. მაგალითად, ინდური სეკულარიზმის მოდელი ხშირად ექვემდებარება კრიტიკას იმ თვალსაზრისით, რომ იგი ან უგულებელყოფს, ან ვერ

ახერხებს უმცირესობათა რელიგიური და კულტურული განსხვავებების ადეკვატურად გათვალისწინებას, მაშინ როცა კანადის მულტიკულტურალიზმი უფრო წარმატებულ მოდელად მიიჩნევა, რადგან ის ერთდროულად უწყობს ხელს როგორც სამოქალაქო ერთიანობას, ისე კულტურულ პლურალიზმს. თუმცა, კანადაშიც კი, არსებობს მიმდინარე დისკუსიები მულტიკულტურალიზმის ფარგლებსა და შეზღუდვებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კულტურული პრაქტიკები უფრო ფართო საზოგადოებრივ ღირებულებებთან, მაგალითად, გენდერულ თანასწორობასთან მოდის წინააღმდეგობაში.

საბოლოო ჯამში, მულტიკულტურულმა სახელმწიფოებმა უნდა გაიარონ სამოქალაქო იდენტობის ფორმირების რთული გზა, რომელიც ასიმილაციის მოთხოვნის გარეშე ინკლუზიის ნახალისებაზე გადის. ეს ნიშნავს ეთნიკური და რელიგიური პარტიკულარიზმის ტრანსფორმაციას იმგვარად, რომ შენარჩუნდეს ეროვნული ერთიანობა მრავალფეროვნების პატივისცემის პირობებში, რამაც თავის მხრივ, უნდა გააძლიეროს საზოგადოების სტრუქტურა. როგორც ჯონ მაკგარი აღნიშნავს, ამ გამოწვევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მრავალფეროვნების თემა უნდა იყოს იმგვარად ინტეგრირებული, რათა კულტურულმა პლურალიზმმა არ დააზარალოს უფრო ფართო პოლიტიკური საზოგადოების სტაბილურობა და ერთიანობა

საერთაშორისო სამართალი და მის კვალდაკვალ თანამედროვე დემოკრატიებში მეტ-ნაკლებად დამკვიდრებული ეროვნული სტანდარტები, მეტწილად იდენტობის კულტურის ობიექტურ, ხილულ მხარეს არეგულირებს. საერთაშორისო სტანდარტები და მათი პრაქტიკა გვთავაზობს სახელმწიფოთა ქცევის რეგულირებას კულტურის ისეთ კომპონენტებთან მიმართებით, როგორიცაა ენა, ტრადიციები და რიტუალები, ტანსაცმელი, საკვები და სხვ. რელიგიურ/კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებულ მაგალითად, რელიგიის თავისუფლების აღმსარებლობის ე.წ. საგარეო, ხილული ასპექტი (ე.წ. forum externum) გამოგვადგება. უფლებით დაცული რელიგიის ან რწმენის აღმსარებლობა მოიცავს: საკუთარი რწმენის გაცხადების თავისუფლებას, ისევე, როგორც ღვთისმსახურებაში, მიმდევრობაში, პრაქტიკასა და სწავლებაში შემავალ საქმიანობათა ფართო წრეს. მათ შორის, ღვთისმსახურებაში იგულისხმება რწმენის გამოხატულება, რომელიც რიტუალურ და ცერემონიალურ ქმედებებს აერთიანებს და შესაბამისი პრაქტიკა, ასევე, ღვთისმსახურების ადგილების მშენებლობა, რიტუალური ატრიბუტიკის და საგნების გამოყენება, სიმბოლოების გამოსახვა და დასვენების დღეების გამოყენების შესაძლებლობა, სპეციალური საკვების მიღება ან საკვებისგან თავის შეკავება.

რელიგიისა და რწმენის მიმდევრობა და განხორციელება: ითვალისწინებს ცერემონიალური ქმედებების განხორციელებას და რელიგიური ტრადიციების დაცვას, ისეთ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, როგორიცაა: მარხვის შენახვა, განსხვავებული ჩაცმულობის ან თავსაბურავის ტარება, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა და რელიგიური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ღვთისმსახურების ენის გამოყენება (მაგ. ლათინური).

ადამიანის უფლებათა ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიც გაეროს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების შესახებ პაქტი (ICESCR) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტია (ICCPR) სხვა უნივერსალურ თუ რეგიონულ (ევროპულ) სტანდარტებთან ერთად სახელმწიფოებისთვის ქმნიან მინიმალურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც საჭიროა უმცირესობების უფლებების დაცვისათვის, როგორც კულტურის ასპექტში ასევე ენობრივი, რელიგიური, თუ სოციალური თვალსაზრისით. მათი მიზანია უზრუნველყონ, რომ ეთნიკური და სხვა უმცირესობები არ იქნებიან საზოგადოების უფრო დიდი ე.წ. დომინანტი ჯგუფების მხრიდან დისკრიმინირებულნი და არ მოხდება მათი გაუცხოება, გარიყვა. ეს ინსტრუმენტები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ისეთი უფლებები, როგორიცაა

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, კულტურული უფლებები, რელიგიის თავისუფლება, დისკრიმინაციისგან თავისუფლება, აგრეთვე გამოხატვის, შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები, რომლებიც თავისთავად მნიშვნელოვან გარანტიებს და წინაპირობას ქმნის უმცირესობების სხვა უფლებების რეალიზაციისთვის.

როდესაც სამართლებრივი ჩარჩოები ხშირად ფოკუსირებულია ობიექტურ უფლებებზე, იდენტობასთან დაკავშირებული სხვა, არახილული და არამატერიალური ასპექტები აუცილებელია განვიხილოთ ღირსების უფლების კონტექსტში. ასეთ სუბიექტურ ასპექტებს, როგორცაა თვითიდენტიფიკაცია და ღირსება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდის პიროვნული ავტონომიისა და კულტურული თვითმყოფადობის (ავთენტურობის) დაცვისათვის.

იდენტობა და მისი აღიარება - განსხვავებული ჯგუფების დაცვა/შენარჩუნება v. ასიმილაცია მულტიკულტურულ სახელმწიფოში

ჩარლზ ტეილორი თავის ნაშრომში „მულტიკულტურალიზმი და ცნობის პოლიტიკა“ განიხილავს ცნობის/აღიარების მნიშვნელობას, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ის ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აღიარონ კულტურული განსხვავებები ისე, რომ ამავდროულად არ აიძულონ განსხვავებული ჯგუფები ასიმილირდნენ დომინანტურ კულტურასთან. აღნიშნული მიდგომა უჭერს მხარს კულტურათა მრავალფეროვნების თანაარსებობას, სადაც განსხვავებები მისაღებია და არც სახელმწიფო და არც საზოგადოება მათ საფრთხედ არ განიხილავს, (securitization of minorities), ამასთან, ინდივიდებსა და ჯგუფებს აქვთ თავისუფლება, შეინარჩუნონ და გამოხატონ საკუთარი უნიკალური კულტურული თვითმყოფადობა და თავისებურებები. (Taylor, 1992, p. 41).

სწორედ ასეთი გამოწვევა დგას მრავალკულტურული სახელმწიფოების წინაშე - როგორ მოახდინონ სამოქალაქო იდენტობის ფორმირება ასიმილაციის გარეშე, როგორ უპასუხონ იმ გამოწვევებს, რომლებიც მრავალფეროვანი და რიგ შემთხვევაში, მრავალეროვანი (პოლიეთნიკური) ან/და მრავალრელიგიური (პოლირელიგიური) რეალობით არის განპირობებული, გარდაქმნან ეთნიკური/რელიგიური პარტიკულარიზმი ისე, რომ არ დააზიანონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება და მრავალფეროვნება. უნდა არსებობდეს შუალედი, ერთი მხრივ, თანაბრობის მოთხოვნასა და, მეორე მხრივ, ეთნოცენტრისტულ ჩაკეტილობას შორის. მონაწილეობითი დემოკრატია (participatory democracy) უმრავლესობის მმართველობისა და უმცირესობათა უფლებების პატივისცემის (დაცვის) პირობებში სწორედ ამ ბალანსის მიღწევის მცდელობაა, მათ შორის უფლებრივ ასპექტშიც. ასეთ დემოკრატიულ, მრავალეროვან, მრავალკულტურულ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მეტნაკლებად მისაღები და სასურველი ბალანსი ინდივიდის, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფს (თვით)მიკუთვნილებული პირის, პიროვნულ იდენტობასა და საერთო-სახელმწიფოებრივ კოლექტიურ იდენტობას შორის. ეს ბალანსი გულისხმობს, ერთი მხრივ, ინდივიდის თანაბარი ღირებულების მექანე სუბიექტად აღიარების არაავთენტურ, გამაერთგვაროვნებელ მოთხოვნასა და, მეორე მხრივ, ეთნოცენტრისტული სტანდარტებით თვითშეზღუდვას შორის ოპტიმალური გზის ძიებას.

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა კულტურებთან თანაცხოვრება სულ უფრო გარდაუვალი ხდება - როგორც გლობალურ დონეზე, ისე შერეულად ყოველ კონკრეტულ საზოგადოებაში. არსებობს „თანაბარი ღირებულების პრეზუმეცია“¹³ - პოზიცია, რომელსაც

13. თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა უფლებებში, განსხვავებული, არათანაბარი მოპყრობისგან დაცვა, რომელსაც არ მოეძებნება გონივრული და ობიექტური საფუძველი, რაც ამგვარ განსხვავებას გაამართლებდა.

ჩვენ ვიკავებთ „სხვის“ შესწავლისას. შესაძლოა, არ იყოს საკმარისი მხოლოდ იმის კითხვა, წარმოადგენს თუ არა ეს იმას, რისი მოთხოვნის უფლებაც სხვებს ჩვენგან აქვთ. უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს შეკითხვა — სწორედ ამგვარად უნდა მივუდგეთ თუ არა სხვებს?

სამართლებრივი, სამოქალაქო იდენტობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მოქალაქეს სჭირდება კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც ერთდროულად საშუალებას მისცემს, თავი იგრძნოს დიდი ერთობის ნაწილად, მაგრამ ამავე დროს არ დაკარგოს თავისი ინდივიდუალიზმი — ე.წ. „ავთენტურობა“, რომელიც ეფუძნება მის ეთნიკურ, ლინგვისტურ, რელიგიურ თუ კულტურულ თავისებურებებს, და რომელთა პატივისცემაც სახელმწიფოსთვის სიძლიერის წყაროდ უნდა იქცეს და არა საფრთხედ.

ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს, რომლებიც მას საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას მისცემს და გახდის იმად, „რაც ის არის.“ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია იტვირთოს ეს ფუნქცია და აკონტროლოს ეს უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი - სკოლა. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ მისი საგანმანათლებლო პროდუქტი არ იყოს მდარე ხარისხის. მხოლოდ მას (სახელმწიფოს) შეუძლია, უზრუნველყოს განათლებასთან და კულტურასთან ზიარების თანასწორობა.¹⁴ თანამედროვე სახელმწიფომ მოსწავლეს უნდა შესთავაზოს ერთგვარი ფორმალიზებული ინტელექტუალური გარემო, რომელშიც მოსწავლე სხვებთან ერთად შეძლებს მოძრაობას (მონესრიგებულ დიალოგში, პოლემიკაში შესვლას). ინდივიდი უნდა ეზიაროს იმ პარადიგმებს, რომლებიც მას საზოგადოებაში ფუნქციონალურსა და კომუნიკაბელურს გახდის. წინააღმდეგ შემთხვევაში კულტურა, ზნეობა და რელიგია იმ დესტრუქციული პოტენციალის მსხვერპლად შეიძლება იქცეს, რომელიც ჰერმეტიულობისა და თვითდაკონსერვებისადმი მისწრაფებაში იმალება.¹⁵

მულტიკულტურული/ინტერკულტურული განათლების წარმატებული მაგალითები

ნაციონალიზმის და იდენტობის საკითხების ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ „დიდი იდენტობა,“ როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შესაძლებელი გახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელად და უდანაკარგოდ გავრცელება/დანერგვა, ანუ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მასმედია. მხოლოდ მასმედიის და განათლების სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი იდეებისა და წარმოდგენების სისტემა ყოველი მოქალაქისთვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო.¹⁶ მრავალეროვან სამოქალაქო ერად ჩამოყალიბებისთვის საჭირო იდენტობა, ალბათ, სწორედ ასეთი „დიდი იდენტობა“, რომელიც შესაბამისი საგანმანათლებლო

14. გელნერი ერნესტ. ერენი და ნაციონალიზმი. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“ 2003 წიტირებულია: მასალკინი, გიორგი. „საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა: საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?“ სამოქალაქო იდეა, თბილისი, 2020. გვ. -69-73.

15. ფირალიშვილი, ზ. (2007). ნაციონალიზმი და განათლება. ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები (სერია „ევროპული ძიებანი“, სტატიების კრებული, 2006). თბილისი. ციტირებულია: მასალკინი, გიორგი. „საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა: საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?“ სამოქალაქო იდეა, თბილისი, 2020. გვ. -69-73.

16. თევზაძე, გიგი. ეთნიკური იდენტობა და საზოგადოებრივი ინტეგრაცია. Burusi, 16 სექტემბერი, 2010, ხელმისაწვდომია: <https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/>

პოლიტიკის გარეშე რთულად მისაღწევია.

წინამდებარე თავში განხილულია სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა და ეთნიკური მრავალფეროვნების¹⁷ შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოები, რამდენიმე წარმატებული მოდელის მაგალითზე, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, საქართველოსთვის გასათვალისწინებელი და სასარგებლო აღმოჩნდეს. ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული მაგალითები დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს აღმოაჩინოს საინტერესო ინტეგრაციული/ინკლუზიური მიდგომები, რომელთა გაზიარებაც მომავალში შესაძლებელი იქნება.

საფრანგეთი

საფრანგეთის სამართლებრივი ჩარჩო ინტერკულტურული განათლებისთვის

საფრანგეთის განათლების სისტემა ფუნქციონირებს სეკულარიზმისა და უნივერსალიზმის პრინციპების საფუძველზე, რაც განსაზღვრულია 1958 წლის კონსტიტუციითა (Constitution de la République Française (1958) და შიშველი ფერის კანონებით (Les lois Jules Ferry, 1881-1882), რომლებიც უზრუნველყოფენ უფასო, სავალდებულო და სეკულარულ განათლებას. განათლების კოდექსის (Code de l'éducation, Article L.111-1) თანახმად, საჯარო განათლება ეროვნულია და ინდივიდზე ორიენტირებული, ხოლო ეთნიკური თუ კულტურული ჯგუფების ოფიციალური აღიარება არ ხდება.

1970-იან წლებში შეიქმნა არაფრანგულენოვანი მოსწავლეების მხარდასაჭერი პროგრამები, მათ შორის საწყისი კლასი (CLIN - Classes d'Initiation pour Non-Francophones), ინტეგრირებული კლასი (CRI-Cours de Rattrapage Intégrés) და ადაპტაციის კლასი (CLAD -Classes d'Accueil et d'Adaptation), რომლებიც მიზნად ისახავდნენ ენის ათვისებასა და მოსწავლეების სასკოლო გარემოში ინტეგრაციას (Bailble, 2006). 1977 წელს, ევროპული დირექტივებისა და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე (ალჟირთან, მაროკოსთან, ტუნისთან და სხვ.) შემოღებულ იქნა მშობლიური ენებისა და კულტურის სწავლების პროგრამა (ELCO -Enseignement des Langues et Cultures d'Origine), რომელიც 2016 წელს ჩანაცვლდა საერთაშორისო უცხო ენების სწავლების პროგრამით (EILE - Enseignement International de Langue Étrangère) და ინტეგრირდა ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

2004 წლის კანონი კრძალავს რელიგიურ სიმბოლოების თვალსაჩინოებას სკოლებში, რაც აძლიერებს სეკულარიზმის პრინციპებს განათლებაში (Fath, 2006; Gaudin, Portier & Saint-Martin, 2014). 1998 წლიდან, ადგილობრივი საგანმანათლებლო ხელშეკრულებები (CEL-Contrat d'Éducation Local) საშუალებას აძლევს რეგიონულ ორგანოებს განახორციელონ ინტერკულტურული ინიციატივები, რათა უპასუხონ განათლებაში არსებულ ადგილობრივ გამოწვევებს (მაგ, რესურსების უთანასწორობა,

17. ცნებები მულტიკულტურული განათლება და ინტერკულტურული განათლება საჭიროებს დაზუსტებასა და განმარტებას. ამ ტერმინებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მულტიკულტურული არის აღწერითი ტერმინი, რომელიც მხოლოდ აღიწერებს პლურალიზმის არსებობას და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხის ფაქტობრივ თანაცხოვრებას, ხოლო ტერმინი ინტერკულტურული ასახავს არსებულ ინტერაქციას განსხვავებული კულტურის მქონე ხალხებს შორის. მულტიკულტურული განათლება ემსახურება სწავლებას სხვადასხვა კულტურის შესახებ, რათა მიღწეულ იქნას მიმდებლობა ან, სულ მცირე, ტოლერანტობა განსხვავებული კულტურის მიმართ; მაშინ, როცა ინტერკულტურული განათლების მიზანი სცილდება სხვადასხვა კულტურათა პასიური თანაცხოვრების ამოცანას და მიზნად ისახავს შექმნას მდგრადი საფუძველი, რომ მულტიკულტურული საზოგადოების თანაცხოვრება დაეფუძნოს ურთიერთგაგებას, პატივისცემისა და სოლიდარობის პრინციპებს. (კაპანაძე, ნინო. (2014). მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება. მოპოვებულია მისამართიდან: <https://mastsavlebeli.ge/?p=4001>.

მოსწავლეთა წარმატებები ან განათლებაზე ხელმისაწვდომობა). ასევე, საშუალებას აძლევს ხელი შეუწყონ თანამშრომლობას სკოლებს, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მორგებული საგანმანათლებლო სტრატეგიების განსახორციელებლად, ფოკუსირდნენ ჩართულობასა და თანასწორობაზე, რათა ყველა ბავშვს, მიუხედავად წარმოშობისა, ჰქონდეს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს ენობრივ მხარდამჭერ პროგრამებს, სეკულარიზმის პრინციპებსა და განათლების ლოკალიზებულ პოლიტიკას, რომელიც თავსებადია ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკასა და საფრანგეთის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებებთან.

უმცირესობებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პოლიტიკა

ძველი, არსებული და ახლად დამკვიდრებული უმცირესობების, განსაკუთრებით მიგრანტი მოსახლეობის საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს კულტურული ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების ბალანსს სასკოლო სისტემაში. საფრანგეთი წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მოდელს, რადგან იგი ისტორიულად ასიმილაციურ მიდგომას ეფუძნებოდა, თუმცა, ბოლო პერიოდში ინტერკულტურული განათლებისკენ გადაიხარა (Akkari & Radhouane, 2022, p. 117).

ძველ უმცირესობებს განეკუთვნებიან საფრანგეთში არსებული რეგიონული ენობრივი თემები, როგორიცაა ბრეტონულ (Breton), ოქსიტანურ (Occitan), ელზასურ (Alsatian) და კორსიკულ (Corsican) ენებზე მოლაპარაკეები, რომლებიც ისტორიულად ცდილობდნენ ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში აღიარების (მაგ. ლინგვისტური უმცირესობა) მოპოვებას. საფრანგეთის ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემა თავდაპირველად თრგუნავდა რეგიონულ იდენტობებს, ერთიანი რესპუბლიკური მოდელის სასარგებლოდ (Akkari & Radhouane, 2022, p. 118). თუმცა, საფრანგეთმა პროგრესულად დანერგა ორენოვანი განათლება ზოგიერთ რეგიონში, რითაც აღიარა ადგილზე ისტორიული საზოგადოებების არსებობა. 1982 წელს საფრანგეთმა ავტორიზაცია მისცა ორენოვანი (ბილინგვური) სკოლების შექმნას გარკვეულ რეგიონებში, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განათლება მიიღონ როგორც ფრანგულ, ისე რეგიონულ ენებზე.

ახლად ჩამოყალიბებული უმცირესობები, რომელთა უმეტესობა შედგება პოსტკოლონიური მიგრანტებისგან ალჟირიდან, მაროკოდან, ტუნისიდან და საჰარის სამხრეთ აფრიკიდან (Sub-Saharan Africa), განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან ენობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების გამო (Akkari & Radhouane, 2022, p. 120). საფრანგეთმა განსაკუთრებული პოლიტიკა შემოიღო ამ სტუდენტების მხარდასაჭერად, მათ შორის, დანერგა ენის ათვისების პროგრამები და ინტეგრაციის კლასები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

1977 წელს საფრანგეთმა დანერგა წარმოშობის ენებისა და კულტურის სწავლების პროგრამა (ELCO), რომელიც 2016 წელს გარდაიქმნა საერთაშორისო უცხო ენების სწავლების პროგრამად (EILE). ამ ინიციატივებმა შექმნა სტრუქტურირებული სასწავლო გარემო, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევდა საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირების პარალელურად შეენარჩუნებინათ კულტურული კავშირები.

სეკულარიზაცია და განათლება

სეკულარიზმი (laïcité) საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საჯარო სკოლები ნეიტრალურები დარჩნენ რელიგიის მიმართ. ამავდროულად, სკოლები რესპუბლიკის ღირებულებების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ამ პრინციპმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი და ახალი უმცირესობებისთვის განკუთვნილი პოლიტიკის ფორმირებაში. 2004 წლის კანონი, რომელიც კრძალავს თვალსაჩინო რელიგიური სიმბოლოების ტარებას სკოლებში, იყო სეკულარიზმის გაძლიერებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი (Akkari & Radhouane, 2022, p. 125). აღნიშნულმა კანონმა მხოლოდ მუსლიმ მოსწავლეებზე არ იმოქმედა, რომლებიც ჰიჯაბს ატარებდნენ, არამედ გავლენა მოახდინა სხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ სეკულარიზაციის მიზანია ყველა მოსწავლის თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, აღნიშნულმა მიდგომამ განათლების პოლიტიკაში გამოიწვია კამათი იმაზე, აზიანებს თუ არა იგი მიგრანტ თემებს არაპროპორციულად. ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ მკაცრი სეკულარული პოლიტიკა დამატებით ბარიერებს უქმნის მუსლიმ მოსწავლეებს, რაც გავლენას ახდენს მათ განათლების სისტემაში ინტეგრაციისა და მიკუთვნებულობის განცდაზე (CNESCO, 2016, p. 128). მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ სეკულარიზმი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური ერთიანობის (Social Cohesion) უზრუნველსაყოფად და სკოლებში დაყოფის თავიდან ასაცილებლად.

მრავალენოვანი და მულტიკულტურული განათლება

ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის მხარდასაჭერად, საფრანგეთში გამოიკვეთა შემდეგი კარგი პრაქტიკა:

ორენოვანი პროგრამების დანერგვა ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ენისა და მიგრანტი მოსწავლეების მშობლიური ენების შენარჩუნებას (Akkari & Radhouane, 2022, p. 122). საფრანგეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით, კერძოდ, მშობლიური ენისა და კულტურის სწავლების პროგრამის (ELCO) დანერგვით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ კულტურული იდენტობა ფრანგული ენის ათვისების პარალელურად. 2016 წლის რეფორმის შედეგად ELCO გარდაიქმნა საერთაშორისო უცხო ენების სწავლების პროგრამად (EILE), რომელმაც გააუმჯობესა მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სასწავლო პროგრამის ინტეგრაციის პროცესი. პარალელურად, მიგრანტი ბავშვების განათლებისთვის შექმნილი სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრებმა (Centres de formation et d'information pour la scolarisation des enfants de migrants, CEFISEM) მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინტერკულტურული სწავლების მეთოდოლოგიის განვითარებაში.

მიგრანტი მოსწავლეების ინტეგრაციის სტრატეგიები

მიგრანტი მოსწავლეები ხშირად აწყდებიან სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს, რომლებიც მათი განათლების შედეგებზე გავლენას ახდენს (OECD, 2016). საფრანგეთმა ამ გამოწვევების დასაძლევად რამდენიმე მექანიზმი შეიმუშავა:

შექმნა გარდამავალი პროგრამები, როგორიცაა ინტეგრაციის კლასი (CLIN) და ადაპტაციის კლასი (CLAD), რომლებიც ახალჩასულ მოსწავლეებს მასპინძელი ქვეყნის ენის ათვისებაში ეხმარება (Akkari & Radhouane, 2022, p. 118). ეს პროგრამები მათ

ინტეგრაციის პროცესს ამარტივებს და ხელს უწყობს საბაზისო განათლების სისტემაში ჩართულობას.

დამატებითი აკადემიური მხარდაჭერის გაწევა სხვა საგნებში, გარდა ენის სწავლისა, საგანმანათლებლო უთანასწორობის თავიდან ასაცილებლად. 1981 წელს დანყებული პრიორიტეტული საგანმანათლებლო სივრცეების (Priority Education Zones, ZEP) ინიციატივა მიზნად ისახავს იმ სკოლებისთვის დამატებითი რესურსების მიწოდებას, სადაც მიგრანტი მოსწავლეების მაღალი კონცენტრაციაა, რათა ამ გზით შემცირდეს განათლების ხარისხში არსებული უთანასწორობები.

მენტორობის პროგრამების წახალისება, სადაც ადგილობრივი და მიგრანტი მოსწავლეები ერთმანეთს უკავშირდებიან, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციასა და კულტურათაშორის დიალოგს.

სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლა

კვლევები აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო სეგრეგაცია არაპროპორციულად აისახება მიგრანტი მოსწავლეების შესაძლებლობებზე, რაც ზღუდავს მათ წარმატების პერსპექტივას (Felouzis, 2003, p. 429). საფრანგეთმა ამ პრობლემის დასაძლევად რამდენიმე ღონისძიება გაატარა, მათ შორის:

ზონირების პოლიტიკის (Zoning Policies) დანერგვა, რათა უზრუნველყოს სკოლებში სოციალური მრავალფეროვნება (CNESCO, 2016, p. 127). სკოლების რაიონული გადანაწილების რესტრუქტურირება მიზნად ისახავს განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური ფონის მქონე მოსწავლეების შერევას და საგანმანათლებლო თანასწორობის გაუმჯობესებას.

მხარდაჭერის გაძლიერება ნაკლებად უზრუნველყოფილი რეგიონების სკოლებისთვის, რაც მოიცავს დამატებით დაფინანსებას და სპეციალიზებულ პროგრამებს. პრიორიტეტული საგანმანათლებლო ზონები (ZEP-Zones d'Éducation Prioritaires) იღებენ დამატებით პედაგოგიურ რესურსებს და სოციალური მხარდაჭერის სპეციალურ ღონისძიებებს.

ინტერკულტურული განათლების პროგრამების ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება, გრძელვადიანი (longitudinal) კვლევების მეშვეობით, რათა გამოვლინდეს პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები და გაუმჯობესდეს ინტეგრაციის მექანიზმები.

სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრა

განათლების სისტემაში არსებული სტრუქტურული მიკერძოებები არახელსაყრელ პირობებს უქმნის მიგრანტ მოსწავლეებს. საფრანგეთმა ამ გამოწვევების შესამცირებლად რამდენიმე ღონისძიება გაატარა:

მოსწავლეების გადამზადება გაუცნობიერებელი მიკერძოების (Unconscious Bias) აღქმისა და შემცირების მიმართულებით (Akkari & Radhouane, 2022, p. 125). პროგრამები მიზნად ისახავს პედაგოგების ცნობიერების ამაღლებას იმ გამოწვევების მიმართ, რომლებსაც უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეები აწყდებიან.

ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების დანერგვა სკოლებში მოსწავლეების მიღებისა და შეფასების პროცესებში. საფრანგეთმა განახორციელა გამოცდების სტრუქტურის

რეფორმა, რათა ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი შეფასების კრიტერიუმები.

ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება, რათა სკოლებში ინკლუზიური კულტურა ჩამოყალიბდეს. ეროვნული ინიციატივები ხაზს უსვამს ინტერკულტურული გაცვლის (Intercultural Exchange) მნიშვნელობას სასკოლო გარემოში, რაც ხელს უწყობს თანასწორობისა და ურთიერთგაგების განვითარებას.

დასკვნა: საფრანგეთი კულტურული მრავალფეროვნების საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციის თვალსაზრისით კარგი პრაქტიკის მოდელად შეიძლება შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სისტემა თავდაპირველად ასიმილაციურ მიდგომას ეყრდნობოდა, ქვეყანა ეტაპობრივად გადაიხარა ინტერკულტურული სტრატეგიებისკენ, რათა უზრუნველყოფოდა როგორც ძველი, ისე ახალი უმცირესობების მხარდაჭერა.

ორენოვანი განათლების შენარჩუნებით (Bilingual Education) ძველი უმცირესობებისთვის და მიგრანტი მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობით, ისეთი მიზნობრივი პოლიტიკის მეშვეობით, როგორიცაა ორიგინალური ენებისა და კულტურის სწავლების პროგრამა (Teaching the Original Language and Culture, ELCO), პრიორიტეტული საგანმანათლებლო ზონები (Priority Education Zones, ZEP) და ინტეგრაციის კლასები (Integration Classes, CLIN, CLAD), საფრანგეთმა შეძლო ეროვნული ერთიანობისა და კულტურული ინკლუზიის დაბალანსება.

კვლევები აჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, სეგრეგაცია და სეკულარიზმის გავლენა კვლავ გამოწვევად რჩება, თუმცა, საფრანგეთის საგანმანათლებლო პოლიტიკაში განხორციელებული პროაქტიული ზომები ქმნის იმ ჩარჩოს, რომლის ადაპტაცია და გაუმჯობესება სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (European Commission against Racism and Intolerance, ECRI) 2024 წლის მეექვსე მონიტორინგის ციკლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ცდილობს სოციალური მრავალფეროვნების გაძლიერებას სკოლებში, განსაკუთრებით მოსწავლეების გადანაწილების ინიციატივების (Student Relocation) მეშვეობით, როგორიცაა Haute-Garonne-ის პროექტი.

ადამიანის უფლებათა განათლება, ტოლერანტობის კულტურა და ანტიდისკრიმინაციული ცნობიერების ამაღლება სასკოლო სასწავლო გეგმებში ინტეგრირებულია, თუმცა უნივერსიტეტები ამ პროცესის მიღმა რჩებიან.

2015 წლიდან საფრანგეთმა განაახლა სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რათა ებრძოლა სტერეოტიპების წინააღმდეგ, რისთვისაც გამოიყენა ეროვნული გეგმები რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ (National Plans against Racism and Antisemitism, 2015, 2018, 2020-2023), თუმცა, ჯერ-ჯერობით არ მომხდარა მათი შედეგების მონიტორინგი. ECRI მოუწოდებს საფრანგეთს, შეაფასოს აღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანობა და განათლებაში ინტეგრირდეს ისეთი თემები, როგორიცაა მიგრაციისა და კოლონიალიზმის ისტორიის სწავლება.

სკოლებში მკაცრი წესები მოქმედებს დისკრიმინაციისა და ბულინგის წინააღმდეგ, რასაც ერთი მხრივ სამართლებრივი ჩარჩო, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელმძღვანელო ორგანოების წინაშე პერიოდული ანგარიშგების მექანიზმები (Reporting Mechanisms) უზრუნველყოფს (მაგ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი). პრაქტიკაში დანერგილია სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის, მობილური აპლიკაციები და

ბულინგის მსხვერპლთა მხარდამჭერი პლატფორმები.

თუმცა, საფრანგეთში კვლავ არსებობს უთანასწორობა მასწავლებელთა მომზადებაში ადამიანის უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული საკითხების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ინიციატივა ამ ხარვეზების აღმოფხვრისკენ არის მიმართული, ECRI რეკომენდაციას უწევს, რომ აღნიშნული მომზადება (ტრენინგი) სავალდებულო გახდეს ყველა პედაგოგისა და არააკადემიური პერსონალისთვის, ხოლო პროფესიულმა გადამზადებამ უწყვეტი პროცესის სახე მიიღოს.

ECRI ასევე მოუწოდებს საფრანგეთს, აღნიშნულ ცნობიერების ამაღლების პროგრამებში მშობლები და სხვა სასკოლო პერსონალიც ჩართოს, რითაც ხელს შეუწყობს განათლების სისტემის ინკლუზიურობას.

საფრანგეთის განათლების სისტემის ძირითადი მახასიათებლები

მმართველობა	●	ცენტრალიზებული- განათლების სამინისტრო აკონტროლებს პროგრამებს, დაფინანსებას და შეფასებებს.
სეკულარიზმი	●	მკაცრი სეკულარიზმი (Laïcité)-სკოლებში აკრძალულია რელიგიური სიმბოლოები.
ენის პოლიტიკა	●	ფრანგული – ერთადერთი სწავლების ენა, თუმცა ორენოვანი პროგრამები არსებობს.
განათლების ხელმისაწვდომობა	●	უფასო და სავალდებულო განათლება 16 წლამდე ყველა მოსწავლისთვის.

მიგრანტთა განათლების პროგრამები და მათი შედეგები

პერიოდი	პროგრამა/ინიციატივა	მიზანი	შედეგები
1970-იანები	CLIN & CRI	მიგრანტთა ინტეგრაცია	ფრანგული ენის სწრაფი ათვისება.
1977	ELCO	მშობლიური ენის სწავლება	კრიტიკა კომუნიტარიზმის გამო, ჩანაცვლდა.
1980-იანები	ZEP	მხარდაჭერა დაბალშემოსავლიანი სკოლებისთვის	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
2002	CASNAV	მიგრანტი მოსწავლეების მხარდაჭერა	ახალი მოსწავლეების ინტეგრაცია.
2016	EILE	მიგრანტთა ენის სწავლების გაუმჯობესება	სახელმწიფო კონტროლი გაძლიერდა.

საფრანგეთის განათლების სისტემის დადებითი პრაქტიკები მიგრანტებისთვის

მიმართულება	კარგი პრაქტიკა	შედეგი
უფასო განათლება	ყველა ბავშვს აქვს უფასო განათლება	მაღალი დასწრება, მცირდება სწავლის მიტოვების შემთხვევები.
ენის ინტეგრაცია	სპეციალური კლასები მიგრანტებისთვის.	მიგრანტებისთვის ფრანგულის შესწავლის წარმატებული მოდელი.
პროგრამების მოქნილობა	საერთაშორისო და ევროპული განყოფილებები	მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობა.
უმაღლესი განათლება	სახელმწიფო უნივერსიტეტები დაბალი გადასახადებით.	მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება.

საფრანგეთის განათლების სისტემის ძირითადი წარმატებები მიგრანტებისთვის

მაჩვენებელი	შედეგი
PISA რეიტინგი	საფრანგეთი საშუალოზე მაღალია წერა-კითხვასა და მათემატიკაში.
მეორე თაობის მიგრანტების შედეგები	საგრძნობლად უმჯობესდება პირველ თაობასთან შედარებით.
სკოლებში დისკრიმინაციის შემცირება	სეკულარიზმმა ხელი შეუწყო კულტურულ ნეიტრალურ გარემოს.
უმაღლესი განათლების მიღწევები	მეტი მიგრანტი აბარებს უნივერსიტეტებში (Grandes Écoles).

შვეიცარია

სამართლებრივი ჩარჩო

შვეიცარიის სამართლებრივი ჩარჩო უმცირესობათა განათლებისთვის ხასიათდება მისი დეცენტრალიზებული განათლების სისტემით. ქვეყნის 26 კანტონი (Cantons) დამოუკიდებლად განსაზღვრავს განათლების პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს ენობრივი და კულტურული უმცირესობების საჭიროებებისადმი მეტ მოქნილობას. შვეიცარიის კანტონალური განათლების დირექტორების კონფერენცია (CDIP-Conférence des directeurs cantonaux de l'instruction publique) მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების პოლიტიკის ჰარმონიზაციასა და რეკომენდაციების შემუშავებაში (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, p. 106).

შვეიცარია ინტერკულტურულ განათლებას ემხრობა, რომელიც მოიცავს ინკლუზიას, ენობრივ მხარდაჭერასა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას. CDIP-მ 1970-1980-იან წლებში შეიმუშავა პოლიტიკა მიგრანტი მუშაკების შვილების ინტეგრაციისთვის, ხოლო 1991 წლის რეკომენდაციებით რასიზმის შესახებ სკოლებში ("1991 Recommandations sur le racisme dans les écoles") მოითხოვა ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება ყველა მოსწავლისთვის, და არა მხოლოდ მიგრანტებისთვის. 1999 წელს ენობრივმა პოლიტიკამ ინგლისური და სხვა უცხო ენები სასწავლო გეგმაში შეიტანა, თუმცა ეროვნული ენები კვლავ პრიორიტეტად რჩება. 2017 წლის რეფორმებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მრავალენოვანი (multilingual) განათლების პოლიტიკა (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, pp. 107-108).

შვეიცარია აღიარებს ოთხ ეროვნულ ენას (გერმანული, ფრანგული, იტალიური და რომანშული / რეტორომანული). უმცირესობებისა და მიგრანტი მოსწავლეების ენობრივი მხარდაჭერა მოიცავს სპეციალურ მიღების კლასებს (Reception Classes), რომლებიც ახალჩასულებს ენის სწრაფ ათვისებაში ეხმარება, სანამ ისინი ძირითად სასკოლო პროგრამაში ინტეგრირდებიან. 1972 წლის CDIP-ის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა მშობლიური ენისა და კულტურის სწავლების პროგრამა (CLCO- "Cours de langues et cultures d'origine"), რომელიც მიგრანტ მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. EOLE პროგრამა (Éveil et ouverture aux langues) ხელს უწყობს მრავალენოვანი ცნობიერების ამაღლებას, ხოლო ორენოვანი განათლების (Bilingual Education) ინიციატივები აუმჯობესებს მოსწავლეთა კოგნიტურ და კულტურულ ინტეგრაციას (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, p. 109).

შვეიცარია უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას, რათა განათლებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობა იყოს გარანტირებული. დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპები ინტეგრირებულია სასკოლო პოლიტიკაში, რაც მიგრანტებისა და უმცირესობათა სტუდენტების მიმართ მიკერძოების პრევენციას ემსახურება. ბერნისა და ჟენევის მსგავს ქალაქებში შექმნილი პრიორიტეტული საგანმანათლებლო ქსელი (REP-Réseau d'éducation prioritaire) დამატებით რესურსებს გამოყოფს მრავალფეროვანი მოსწავლეების მქონე სკოლებისთვის. კულტურული ცნობიერების ტრენინგი უზრუნველყოფს, რომ მასწავლებლები მზად იყვნენ ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, pp. 110-111).

შვეიცარიის სამართლებრივი ჩარჩო ინარჩუნებს ბალანსს ინტეგრაციასა და უმცირესობათა იდენტობის დაცვას შორის. სკოლებს მოუწოდებენ, რომ პატივისცემით

მიიღონ მოსწავლეთა კულტურული წარმომავლობა, ამავდროულად მოახდინონ შვეიცარიული სამოქალაქო ღირებულებების (Swiss Civic Values) პოპულარიზაცია.

მიმდინარე გამოწვევები

მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, სირთულეებიც კვლავ რჩება:

მიგრანტი სტუდენტები გადაჭარბებულად არიან წარმოდგენილი დაბალი აკადემიური დონის სასკოლო ნაკადებში (Lower Educational Tracks), რაც განათლების სამართლიანი დიფერენციაციის საჭიროებაზე მიუთითებს.

შვეიცარიელ და უცხოეთში დაბადებულ სტუდენტებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება კურსდამთავრებულთა მაჩვენებლებში, რომელთა შემცირებასაც მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმები ისახავს მიზნად.

სოფლად მდებარე კანტონებში ინკლუზიის გაძლიერება კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება, რადგან მიგრაციის ახალი ტენდენციები რეგიონულ განათლების სისტემაზე ახდენს გავლენას. (გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მონყვლადობა).

შეჯამება

შვეიცარიის სამართლებრივი ჩარჩო უმცირესობათა განათლებისთვის კარგი პრაქტიკის მაგალითია, რომელიც უმცირესობებს ინტეგრაციას არ აიძულებს ასიმილაციის ხარჯზე.

დეცენტრალიზებული, მაგრამ კოორდინირებული მიდგომის მეშვეობით, ქვეყანა ერთდროულად უზრუნველყოფს: ენობრივ უფლებებს (Linguistic Rights), განათლების თანასწორობას (Educational Equity), კულტურულ მრავალფეროვნებას (Cultural Diversity).

ეს მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას კარგი პრაქტიკის მოდელად სხვა ქვეყნების მიერ, რომლებიც ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკის დანერგვას ისახავენ მიზნად (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, p. 115).

საგანმანათლებლო პოლიტიკა

შვეიცარიას აქვს მდიდარი ისტორია კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების მხრივ. „ძველი“ და „ახალი“ უმცირესობების განსხვავება არსებითია ქვეყნის ინტერკულტურული განათლების მიდგომის გასაგებად.

» ძველი უმცირესობები ძირითადად მოიცავს ისტორიულ ენობრივ ჯგუფებს (გერმანული, ფრანგული, იტალიური და რომანშული).

» ახალი უმცირესობები კი შედგება მიგრანტებისგან, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ჩავიდნენ შვეიცარიაში (Akkari & Radhouane, 2022, p. 105).

ენობრივი და კულტურული გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს ინტერკულტურულ

დიალოგს შვეიცარიელ და მიგრანტ მოსწავლეებს შორის. ხოლო პროფესიული განათლების (Vocational Training) და უმაღლესი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს კარიერული განვითარების გზების გახსნილობას ყველა სტუდენტისთვის (Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane, *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*, pp. 112-113).

დეცენტრალიზებული განათლების სისტემა

შვეიცარიის დეცენტრალიზებული განათლების სისტემა 26 კანტონს დამოუკიდებლად ანიჭებს პოლიტიკის განსაზღვრის უფლებას, რის შედეგადაც განათლების მიდგომები რეგიონების მიხედვით განსხვავდება, თუმცა, ეროვნული ჩარჩო ერთიანი რჩება. ამიტომ ხშირად მოისმენთ ფრაზას, რომ „შვეიცარიაში არსებობს 26 განათლების სისტემა“.

შვეიცარიის კანტონალური განათლების დირექტორების კონფერენციამ (CDIP) შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას ძველი და ახალი უმცირესობების მიმართ პოლიტიკის განხორციელებაში (CDIP, 2017b, p. 106).

“ძველი” უმცირესობების საგანმანათლებლო პოლიტიკა - “ძველი” უმცირესობების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას. ამ მხრივ გატარებული ღონისძიებები და ხელშეწყობი ზომები მოიცავს: ორენოვან განათლებას (Bilingual Education), ენობრივ ინტენსიურ პროგრამებს (Linguistic Immersion Programs), რომანშული ენის მხარდაჭერას (Romansh Language Support), როგორც ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ეროვნული ენის დაცვას (CDIP, 1995a, p. 115).

“ახალი უმცირესობების საგანმანათლებლო პოლიტიკა” - ახალი უმცირესობების მიმართ საგანმანათლებლო პოლიტიკა განახლებადია და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის პარალელურად ორიენტირებულია ინტეგრაციაზე. პირველი რეკომენდაციები რომლებიც 1970-იან წლებში შეიქმნა, მიზნად ისახავდა მიგრანტი მუშაკების შვილების ინტეგრაციას (CDIP, 1972a, b). შემდგომ წლებში შვეიცარიამ დანერგა მიზნობრივი ენობრივი და სოციალური ინტეგრაციის პროგრამები მიგრანტი ბავშვებისთვის (CDIP, 1985a, p. 109).

ენის ბარიერების დაძლევა: 1975 წელს შემუშავდა მიღების კლასები (Reception Classes), რომლებიც მიგრანტ ბავშვებს ადგილობრივი ენის სწავლის პროცესში ეხმარება, სანამ ისინი რეგულარულ სასწავლო პროგრამებზე გადავლენ (CDIP, 1975, p. 107). 1980-90-იან წლებში შემდგომი რეკომენდაციები ინტერკულტურული პედაგოგიკის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და გამოკვეთდა მასწავლებლების როლს კულტურული გაგების ჩამოყალიბებაში (Sieber & Bischoff, 2007, p. 108).

სპეციალური ღონისძიებები “ძველი” და “ახალი” უმცირესობებისთვის

“ძველი” უმცირესობები:

» ენობრივი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, მათ შორის რომანშული (Romansh) და იტალიური (Italian) ენების ხელშეწყობა კონკრეტულ კანტონებში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამებით (CDIP, 1995a, p. 115).

» სკოლებში კულტურული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, ეროვნული

იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის გასაძლიერებლად (CDIP, 1980, p.110).

“ახალი” უმცირესობები:

» ინტეგრაცია ძირითად სასწავლო კლასებში: მიგრანტი ბავშვები რეგულარულ კლასებში ერთვებიან დამატებითი ენობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფით (CDIP, 1972a, p. 108).

» ენობრივი მხარდაჭერა: სპეციალური პროგრამები აუზიანებს მიგრანტი ბავშვების ენობრივ უნარებს, ამასთანავე აფასებს და ინარჩუნებს მათ მშობლიურ ენებს (CDIP, 1991b, p. 110).

» დისკრიმინაციის პრევენცია: CDIP-მა შეიმუშავა რეკომენდაციები, რათა მიგრანტი მოსწავლეები ენობრივი ბარიერების გამო სისტემურად არ მოხვდნენ სპეციალური განათლების პროგრამებში (CDIP, 1985a, p. 111).

» მასწავლებელთა გადამზადება: 1990-იანი წლების ბოლოს ინტერკულტურული განათლება პედაგოგიური მომზადების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა (Perre-gaux & Togni, 1989, p. 112).

სპეციფიკური ინტეგრაციის ღონისძიებები:

» მიღების კლასები (Reception Classes): ჟენევაში ახალჩასულ მიგრანტ მოსწავლეებს პირველ ეტაპზე სპეციალურ მიღების კლასებში ამზადებენ, სანამ ისინი ძირითად სასკოლო პროგრამაში ჩაერთვებიან (Rastoldo et al., 2013, p. 113).

» პროფესიული განათლება (Vocational Training): მიგრანტ მოსწავლეებს ეძლევათ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, რათა გაუმჯობესდეს მათი დასაქმების შესაძლებლობები (CDIP, 1991b, p. 114).

» ორენოვანი განათლება (Bilingual Education): რამდენიმე კანტონმა დანერგა ორენოვანი პროგრამები, რომლებიც მაშტაბურად უჭერენ მხარს როგორც ეროვნულ, ისე მიგრანტთა ენებს (CDIP, 1995a, p. 115).

შვეიცარიის სტრუქტურირებული მიდგომა მიგრანტების განათლებასთან დაკავშირებით ხელს უწყობს ინტეგრაციას და ამავედროულად კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ენობრივი მხარდაჭერისა და ინტერკულტურული განათლების დანერგვამ მიგრანტ მოსწავლეებს შორის სკოლის მიტოვების მაჩვენებელი შეამცირა (OFS, 2018, p. 115).

მიუხედავად ამისა, სირთულეები კვლავ რჩება, მათ შორის: განათლების რესურსების უთანასწორო განაწილება გეოგრაფიულად, სხვადასხვა კანტონს შორის (Akkari & Radhouane, 2022, p. 110); მიგრანტი მოსწავლეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სირთულე (CDIP, 1991b, p. 111); ენობრივი ბარიერების მუდმივი გავლენა საგანმანათლებლო მიღწევებზე (Sieber & Bischoff, 2007, p. 108).

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, შვეიცარია წარმოადგენს კარგ მაგალითს იმისა, თუ

როგორ შეიძლება ქვეყანამ წარმატებით დააბალანსოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ახალი უმცირესობების ინტეგრაციის პროცესთან.

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) თავის მეექვსე ანგარიშში შვეიცარიის შესახებ (მიღებული 2019 წლის 10 დეკემბერს, გამოქვეყნებული 2020 წლის 19 მარტს) და შემდგომ დასკვნებში (მიღებული 2022 წლის 29 ივნისს, გამოქვეყნებული 2022 წლის 20 სექტემბერს) განიხილავს შვეიცარიის ძალისხმევას ინკლუზიური და დისკრიმინაციისგან თავისუფალი განათლების უზრუნველსაყოფად. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შვეიცარიის სასწავლო გეგმები ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურის, რელიგიისა და ცხოვრების წესის მიმართ ურთიერთპატივისცემას, თუმცა, ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო კურსებში არ არის მკაფიოდ განერილი რასიზმის საკითხი. ECRI ხაზს უსვამს ამ საკითხის სასკოლო განათლებაში ინტეგრირების აუცილებლობას, რათა მრავალფეროვნება და ინკლუზია გაძლიერდეს.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შვეიცარიაში არ არსებობს რასისტული და შეუწყნარებლობის ინციდენტების სისტემური მონიტორინგის მექანიზმი სკოლებში. მიუხედავად იმისა, რომ რასიზმის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცენტრებმა (Counselling Centres for Victims of Racism, FCR) 2017 წელს 301 შემთხვევა დაარეგისტრირეს, მათ შორის 42 განათლების სექტორში, სკოლებში არ არსებობს ოფიციალური მექანიზმი ასეთი შემთხვევების აღრიცხვისა და მართვისთვის. გარდა ამისა, მრავალ სტუდენტსა და მშობელს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია აღნიშნული ცენტრების შესახებ, ან ერიდებოდეს ინციდენტების ოფიციალურად დაფიქსირებას.

ECRI რეკომენდაციას უწევს, რომ ყველა სკოლამ შეიმუშაოს პოლიტიკა რასისტული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირებისათვის, ასევე, განსაზღვროს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. შვეიცარიის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს საკითხები ადამიანის უფლებების განათლებაში ინტეგრირდეს და შეიქმნას სტრუქტურირებული მონიტორინგის სისტემა, რომელიც გააძლიერებს უსაფრთხო და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.

შვეიცარიის განათლების სისტემის ძირითადი მახასიათებლები:

მმართველობა	●	დეცენტრალიზებული – 26 კანტონი განსაზღვრავს განათლების პოლიტიკა
სეკულარიზმი	●	ოფიციალურად საერო, თუმცა აღიარებს კულტურულ მრავალფეროვნებას.
ენის პოლიტიკა	●	ოფიციალური ენებია გერმანული, ფრანგული, იტალიური და რუმანშული.
განათლების ხელმისაწვდომობა	●	ყველა ბავშვის უფლებაა, განათლება მიიღოს, მათ შორის მიგრანტების

მიგრანტთა განათლების პროგრამები და მათი შედეგები

პერიოდი	პროგრამა/ინიციატივა	მიზანი	შედეგები
1970-იანები	ინტერკულტურული განათლება	მიგრანტთა ინტეგრაცია	სკოლებში მრავალფეროვნების გაზრდა
1980-იანები	ბილინგვური განათლება	მშობლიური ენის შენარჩუნება	ზოგიერთ კანტონში წარმატებით დანერგილი.
2000-იანი წლები	დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	ინკლუზიური გარემოს შექმნა	მცირე გაუმჯობესება, თუმცა გამოწვევები რჩება.
2016	მიგრანტთა განათლების ხელშეწყობა	მეტმა მიგრანტმა მიიღოს უმაღლესი განათლება	გარკვეული პროგრესი, მაგრამ უთანასწორობა კვლავ არსებობს

შვეიცარიის განათლების სისტემის დადებითი პრაქტიკები მიგრანტებისთვის

მიმართულება	კარგი პრაქტიკა	შედეგი
დეცენტრალიზაცია	კანტონები თავად განსაზღვრავენ განათლების პოლიტიკას.	ადგილობრივი საჭიროებების უკეთესი გათვალისწინება.
ბილინგვური განათლება	ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა ორენოვანი განათლების მიღებისთვის.	სწავლის პროცესის გამარტივება.
ინკლუზიური პოლიტიკა	მიგრანტებს აქვთ განათლების უფლება და ინტეგრაციის პროგრამები.	მიგრანტები უფრო ეფექტიანად ერთვებიან განათლების სისტემაში.

შვეიცარიის განათლების სისტემის დადებითი პრაქტიკები მიგრანტებისთვის

მაჩვენებელი	შედეგი
PISA რეიტინგი	შვეიცარია ერთ-ერთი მოწინავეა განათლების საერთაშორისო შეფასებებში.
ბილინგვური განათლება	ენების სწავლება წარმატებით მიმდინარეობს

მიგრანტთა ინტეგრაცია	უმრავლესობა წარმატებით ერთვება განათლების სისტემაში.
სკოლების ინკლუზიურობა	მიგრანტებისთვის არსებობს სპეციალური პროგრამები, რაც მათ პროგრესს ხელს უწყობს.

ლიეტუვა

სამართლებრივი ჩარჩო

ლიეტუვამ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციას (FCNM) ხელი 1995 წლის 1 თებერვალს მოაწერა, ხოლო მისი რატიფიცირება 2000 წლის 23 მარტს მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური კანონი ეროვნულ უმცირესობებზე, მათი უფლებები რეგულირდება ზოგადი საკანონმდებლო და კონსტიტუციური ნორმებით.

ლიეტუვის კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, „ეთნიკური თემების წევრებს აქვთ უფლება შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი ენა, კულტურა და ტრადიციები“. 2011 წლის მოსახლეობისა და საცხოვრებელი სახლების აღწერის მონაცემებით, ქვეყანაში 154 ეროვნული ჯგუფი ცხოვრობდა.

ამჟამად, ეროვნული უმცირესობების საკითხების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული „ეროვნული უმცირესობების შესახებ“ კანონპროექტი გადაეცა ლიტვის იუსტიციის სამინისტროს და შემდგომში სეიმს (ლიტვის პარლამენტს). კანონს 67 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 4-მა თავი შეიკავა, ხოლო წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია. კანონი ძალაში უხლოეს მომავალში უნდა შევიდეს.¹⁸

კანონპროექტის მიხედვით, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლად მიიჩნევა ლიეტუვის მოქალაქე, რომელიც ეროვნულად ლიტუველს არ მიეკუთვნება და რომელიც მიისწრაფვის საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისკენ.

FCNM-ის ფარგლებში, ეროვნული უმცირესობების განათლებასთან დაკავშირებული მთავარი მუხლებია ჩარჩო-კონვენციის მუხლი 12 (განათლება და ინტერკულტურული სწავლება) და მუხლი 14 (უმცირესობათა ენაზე სწავლება)

კულტურული მრავალფეროვნება განათლებაში და სასწავლო მასალები

სახელმწიფოების მიერ FCNM-ის შესრულების მონიტორინგის საერთაშორისო ორგანო, მრჩეველთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ინტერკულტურული გაგების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა პროგრამა და აქტივობა.

¹⁸. ხელმისაწვდომია:

https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/2407819/lithuania-passes-national-minorities-law-after-15-year-break?utm_source=chatgpt.com (23.12.2024)

» 2016 წელს, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაიწყო საგანმანათლებლო პროექტები 50 სკოლაში, რომელშიც 1000 მოსწავლე მონაწილეობდა.

» პროექტების მიზანი იყო ეროვნული უმცირესობების ენაზე მოქმედი სკოლების ინტეგრაცია ლიეტუვის საზოგადოებაში არაფორმალური განათლების მეშვეობით (კულტურული, კვლევითი და სხვა აქტივობები).

მრჩეველთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები დადებითად აფასებენ ლიეტუვეზურ ენაზე გადამსწავლეთა გარემოში ბავშვების ჩართვის ინიციატივებს, განსაკუთრებით პოლონური სკოლების შემთხვევაში, თუმცა, რესურსების სიმწირე მთავარ გამოწვევად რჩება. ასევე, აღინიშნა, რომ ეროვნული უმცირესობებისა და ინტერკულტურული გაგების სწავლების მოდულები შემუშავებულია განათლების განვითარების ცენტრის მიერ, მაგრამ ისინი პედაგოგიური პროგრამების ძირითად სასწავლო გეგმაში არ შედის.

მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციები:

- » ინვესტიციის გაზრდა ინტერკულტურული სწავლების პროგრამებში;
- » უმრავლესობისთვის ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიისა და რელიგიის შესახებ ცოდნის გაძლიერება;
- » სასწავლო მასალებში ბოშათა თემის შესახებ ინფორმაციის გაზრდა, რადგან საზოგადოებაში ბოშებზე გავრცელებული სტერეოტიპები და დისკრიმინაცია კვლავ სერიოზული პრობლემაა.

უმცირესობათა ენების სწავლების პოლიტიკა

ლიეტუვის განათლების კანონის (2011) მიხედვით, თუ ეროვნული უმცირესობის ჯგუფი რეგიონში მნიშვნელოვან რაოდენობას წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს:

- » სწავლების ჩატარება ეროვნული უმცირესობის ენაზე, ან
- » ეროვნული უმცირესობის ენის სწავლება სკოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლების რაოდენობა მცირდება, ეროვნული უმცირესობების სკოლების პროპორცია უცვლელი რჩება. თუმცა, უმცირესობათა სკოლების შერწყმა და დახურვა შემოფოთებას იწვევს.

ამ კუთხით მრჩეველთა კომიტეტმა შემდეგი რეკომენდაციები მისცა ლიეტუვას:

- » უმცირესობათა სკოლების დახურვა/შერწყმა არ უნდა მოხდეს უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფასად.
- » ბავშვებისთვის ადრეული ასაკიდანვე უნდა მოხდეს მრავალენოვანი განათლების შეთავაზება, რათა მათ უკეთ შეძლონ ლიტვური ენის სწავლა და შესაბამისად სოციალური ინტეგრაცია.

ერთიანი სახელმწიფო ენის პროგრამა და ცენტრალიზებული გამოცდები

2011 წლის განათლების კანონის საფუძველზე, მეთორმეტე კლასისთვის გაერთიანდა ლიტერატურის გამოცდის პროგრამა და ყველა სკოლისთვის დაწესდა ერთიანი შეფასების კრიტერიუმები. თუმცა, ეროვნული უმცირესობების სკოლების მოსწავლეები ლიტერატურის გაკვეთილების ნაკლებობას კვლავინდებურად განიცდიან, რის გამოც ისინი უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან. ამ თვალსაზრისით, მრჩეველთა კომიტეტმა შემდეგი რეკომენდაციები გასცა:

» განათლების რეფორმის ყველა ცვლილება უნდა მოხდეს ფართო კონსულტაციის საფუძველზე;

» უნდა ჩატარდეს ეროვნული უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების შედეგების [მაგ. მოსწრების] ანალიზი, რათა მათი განათლების ხარისხი გაუმჯობესდეს;

უნივერსიტეტებში ჩარიცხვისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული უმცირესობათა ენაზე ჩატარებული გამოცდების შედეგები.

ევროპის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ (ECRI) ლიეტუვასთვის მიცემულ რეკომენდაციებში სკოლებში ანტი-დისკრიმინაციული პროგრამების გაძლიერება, რასობრივი ბულინგის შესახებ მონაცემთა შეგროვება და სკოლებში დისკრიმინაციის პრევენციისთვის სისტემური მონიტორინგის განხორციელება გამოყო.

დასკვნა

ლიეტუვა, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობასთან გამკლავება მოუწია, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და განათლების გაუმჯობესების მიმართულებით. თუმცა, კვლავ საჭიროა კიდევ უფრო ქმედითი და მდგრადი ზომები, რათა უმცირესობათა განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი მეტად გაუმჯობესდეს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიეტუვა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება და მისი საგანმანათლებლო პოლიტიკის გამოცდილება, განსაკუთრებით უმცირესობებთან მიმართებით, შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს საქართველოს მსგავს გარდამავალ დემოკრატიისთვის.

ლიეტუვის განათლების სისტემა

კატეგორია	ლიეტუვა
სეკულარული სისტემა	სეკულარული, მაგრამ ეროვნული უმცირესობების კულტურული და საგანმანათლებლო უფლებები უზრუნველყოფილია.
ცენტრალიზებული მართვა	განათლება ცენტრალიზებულია, თუმცა არსებობს რეგიონული ინიციატივები.
განათლების მოდელი	ინტერკულტურული განათლება, რომელიც უმცირესობათა უფლებებს ხელს უწყობს.
რეგიონალური ავტონომია	უმცირესობათა სკოლები მოქმედებს გარკვეულ რეგიონებში.

ლიეტუვის ენობრივი უმცირესობები

ენობრივი უმცირესობა	განათლების მხარდაჭერა
პოლონური	პოლონურენოვანი სკოლების ინტეგრაცია, თუმცა რესურსების ნაკლებობა.
რუსული	რუსული სკოლების შემცირება, თუმცა ენის სწავლება ნარჩუნდება.
ბელარუსული	ბელარუსული ენის სწავლება სკოლებში მცირე დონეზე.
უკრაინული	უკრაინული კულტურული განათლების ინიციატივები.
ბოშა	ბოშა ბავშვებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები.

უმცირესობათა განათლების გამოწვევები ლიეტუვაში

გამოწვევა	აღწერა
უმცირესობათა სკოლების შემცირება	ბევრი უმცირესობათა სკოლა შერწყმის ან დახურვის საფრთხის წინაშეა.
უმცირესობათა სკოლების შემცირება	ლიტვური ენის სწავლების ნაკლებობა უნივერსიტეტში ჩარიცხვას ართულებს.
ბოშა ბავშვების განათლების დაბალი დონე	ბოშა ბავშვების რეგულარული დასწრება კვლავ გამოწვევაა
მასწავლებლების ინტერკულტურული მომზადების ნაკლებობა	ინტერკულტურული სწავლების მოდულები სასწავლო გეგმაში სრულად არ შედის.

კარგი პრაქტიკა უმცირესობათა განათლებაში

გამოწვევა	გამოწვევა
ინტერკულტურული განათლების პროექტები	უმცირესობათა ენაზე მომუშავე სკოლების ინტეგრაცია და არაფორმალური განათლება.
სპეციალური ტრანსპორტირების პროგრამა ბოშა ბავშვებისთვის	ბოშა ბავშვების სკოლაში დასწრების გაუმჯობესება ვილნიუსის მუნიციპალიტეტში.

პოლონურენოვანი სკოლების ინტეგრაციის პროგრამები	პოლონური სკოლების ინტეგრაცია, თუმცა რესურსების ნაკლებობა გამოწვევაა.
სოციალური ასისტენტებისა და მედიატორების დასაქმება	სოციალური ასისტენტებისა და მედიატორების როლი უმცირესობათა განათლებაში.

სტრატეგიები უმცირესობათა განათლების გასაუმჯობესებლად

კატეგორია	კატეგორია
უმცირესობათა სკოლების მხარდაჭერა და დაფინანსება	უმცირესობათა სკოლების შენარჩუნება და მათი ინტეგრაციის გაძლიერება.
ბოშა ბავშვების განათლების პროგრამების გაძლიერება	სტაბილური დაფინანსება ბოშა ბავშვების განათლებისთვის.
ინტერკულტურული სწავლების გაფართოება	ინტერკულტურული სწავლების პროგრამების გაზრდა სასკოლო განათლებაში.
ეროვნული უმცირესობების ისტორიისა და კულტურაზე განათლების აქცენტების გაძლიერება	უმრავლესობისთვის ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიისა და რელიგიის შესახებ ცოდნის გაძლიერება.

იტალია

სამართლებრივი ჩარჩო და რეგულირების მექანიზმები

იტალია მისდევს „მრავალეროვანი და ხელშემწყობი ეროვნული სახელმწიფოს“ მოდელს, რომელიც აღიარებს და იცავს ენობრივ უმცირესობებს კონსტიტუციური წესრიგის ნაწილად (Penasa, 2019, p. 96). ეს მოდელი ხასიათდება ეროვნული ჯგუფის დომინირებით, თუმცა, ასევე, უზრუნველყოფს ისტორიულად დასახლებული უმცირესობების ინსტიტუციურ და იურიდიულ დაცვას. დროთა განმავლობაში იტალიის რესპუბლიკამ (Repubblica Italiana) წარმატებით დააბალანსა ეროვნული ერთიანობა და ენის უმცირესობათა უფლებების დაცვა ტერიტორიული ავტონომიისა და სპეციალური სტატუტების მეშვეობით (Van der Jeught, 2016, p. 57).

იტალიამ 1997 წლის 3 ნოემბერს მოახდინა ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება (Framework Convention for the Protection of National Minorities - FCNM), რაც აჩვენებს ქვეყნის მზაობას ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართ. იტალიის სამართლებრივი ჩარჩო მკაფიოდ გამოხატავს ამ ვალდებულებას, განსაკუთრებით კანონი No. 482/1999-ით (Law No. 482/1999), რომელიც ეხმიანება ენობრივი უმცირესობების დაცვას. აღნიშნული კანონის თანახმად, იტალია აღიარებს

თორმეტ ეროვნულ უმცირესობას, რომელთაც კონსტიტუციაში ეწოდებათ “ენობრივი უმცირესობები” (linguistic minorities), ხოლო კანონი No. 482/1999-ში ისინი იურიდიულად განსაზღვრულნი არიან როგორც “ისტორიული ენობრივი უმცირესობები” (historical linguistic minorities). კანონი ადგენს მინიმალურ პრინციპებს ამ ჯგუფების ენობრივი და კულტურული უფლებების დაცვისთვის, მათ შორის განათლების სფეროში.

იტალიის კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო მრავალდონიანია:

» იტალიის კონსტიტუციის მე-6 მუხლი (1948) სპეციალურად ითვალისწინებს ენის უმცირესობების დაცვას (Haider-Quercia, 2020, p. 1). „რესპუბლიკა იცავს ენობრივ უმცირესობებს შესაბამისი ხელშეწყობი ზომების მიღებით“ (Haider-Quercia, 2020, p. 2).

» 482/1999 ჩარჩო კანონი წარმოადგენს უმცირესობათა ენის დაცვის ძირითად იურიდიულ ინსტრუმენტს. ის აღიარებს თორმეტ ისტორიულ ენობრივ უმცირესობას (ალბანური, კატალანური, გერმანული, ბერძნული, სლოვენური, ხორვატული, ფრანგული, ფრანკო-პროვანსული, ფრიულიური, ლადინური, ოქსიტანური, სარდინიული) და განსაზღვრავს მათთვის მინიჭებულ უფლებებს (Van der Jeught, 2016, p. 63).

» სპეციალური სტატუტები რეგიონებისთვის: გერმანული, ფრანგული და სლოვენური უმცირესობების სარგებლობენ განსაკუთრებული ავტონომიით ალტო ადიჯე/სუდტიროლში, ვალე დ’აოსტაში და ფრიული-ვენეცია ჯულიაში (Penasa, 2019, p. 97).

» მუნიციპალური აქტივაციის მოთხოვნა: 482/1999 კანონის მიხედვით, უმცირესობათა ენობრივი უფლებები უნდა იქნეს აქტივირებული ადგილობრივ დონეზე, მინიმუმ მოსახლეობის 15%-ის ან მუნიციპალიტეტის წევრთა მესამედის მოთხოვნის საფუძველზე (Van der Jeught, 2016, p. 64).

» ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია: იძლევა მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა სახელმწიფოს უტოვებს შეფასების/მიხედულების ფართო ზღვარს მისი განხორციელებისას (Van der Jeught, 2016, p. 60).

» ევროპის რეგიონული ან უმცირესობათა ენების ქარტია: იტალიამ ხელი მოაწერა ქარტიას, თუმცა, მისი რატიფიცირება არ მომხდარა და აღსრულება მეტწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს კეთილ ნებაზე (Paz, 2014, p. 478).

უმცირესობათა ენის სწავლება და კულტურული ხელშეწყობა

იტალიის განათლების პოლიტიკა ეფუძნება ინტერკულტურულ განათლების მოდელს, რომელიც ენის მრავალფეროვნებას ეროვნული სასწავლო სისტემის ნაწილად აქცევს:

» ბილინგვური განათლება: სპეციალურ ავტონომიური რეგიონებში (მაგ., ალტო ადიჯე/სუდტიროლი), სწავლება მიმდინარეობს იტალიურ და უმცირესობათა ენებზე, რაც ხელს უწყობს კულტურული და ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას (Penasa, 2019, p. 99).

» უმცირესობათა ენის სწავლება: 482/1999 კანონის შესაბამისად, მათემატიკა, ისტორია და სხვა საგნები შესაძლებელია ისწავლებოდეს უმცირესობათა ენებზე (Haider-Quercia, 2020, p. 3).

- » კულტურული და ენობრივი ხელშეწყობა: მთავრობა აფინანსებს უმცირესობათა ენებზე მედიას, კულტურულ ასოციაციებს და სხვა ინიციატივებს (Van der Jeught, 2016, p. 63).
- » მასწავლებელთა მომზადება: სახელმწიფო ხელს უწყობს პედაგოგების მომზადებას, რათა მათ შეძლონ სწავლება როგორც იტალიურად, ისე უმცირესობათა ენებზე (Penasa, 2019, p. 98).

მოუხედავად ამ ძალისხმევისა, არსებობს გამოწვევები:

- » აქტივაციის სირთულე: მუნიციპალიტეტის აქტივაციის მოთხოვნა კიდევ უფრო ართულებს უმცირესობათა დაცვის მექანიზმს (Van der Jeught, 2016, p. 64);
- » არათანაბარი წვდომა: ავტონომიურ რეგიონებში მცხოვრები უმცირესობები იღებენ მეტ მხარდაჭერას, ვიდრე სხვები (Penasa, 2019, p. 99);
- » მიგრანტების ენების გამორიცხვა: 482/1999 კანონი არ ავრცელებს სამართლებრივ დაცვას იმ ენებზე, რომლებზეც მიგრანტი თემები საუბრობენ (Haider-Quercia, 2020, p.4).

მულტიკულტურული მიდგომის კონტექსტში, აღსანიშნავია სადავო საქმე, Lautsi v. Italy (2011), რომლის ფარგლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის განთავსება არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, კერძოდ, პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლს, რომელიც იცავს განათლების უფლებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯვარცმის განთავსება არ წარმოადგენს ინდოქტრინაციას და რომ იტალიას გააჩნია შეფასების ფართო ზღვარი, თუ როგორ ასახოს თავისი კულტურული და ისტორიული იდენტობა საჯარო სივრცეებში. თუმცა, ეს გადაწყვეტილება სადავო იყო და დაერთო მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, აღნიშნული სიმბოლოები შესაძლოა ზეწოლას ახდენდეს სხვა რელიგიური მრწამსის ან მრწამსის არმქონე მოსწავლეებზე, მით უფრო ქვეყნის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული სეკულარიზმის პირობებში.

უმცირესობათა ენის სწავლება და კულტურული ხელშეწყობა

იტალიის განათლების სისტემა მეტად დეცენტრალიზებულია, რის შედეგადაც რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს აქვთ მნიშვნელოვნად გაზრდილი ავტონომია (autonomy). ეს ავტონომია, რომელიც ასახულია კანონში No. 107 (Law No. 107 of 13 July 2015), საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო დანესებულებებს თავად შექმნან სასწავლო გეგმა და მოერგონ მათ რეგიონში არსებულ კულტურულ და სოციალურ საჭიროებებს.

482/1999 კანონის შესაბამისად, უმცირესობათა ენებზე შესაძლებელია ისწავლებოდეს არა მხოლოდ ენის საგნები, არამედ სხვა საგნები, როგორიცაა მათემატიკა და ისტორია (Haider-Quercia, 2020, p. 3). მთავრობა აფინანსებს კულტურულ ასოციაციებს და მედიას, რომლებიც უმცირესობათა ენებზე მუშაობენ, ასევე, უზრუნველყოფს სპეციალურ პროგრამებს, როგორიცაა „Trentino trilingue“, რომელიც სთავაზობს სწავლას იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

საგანმანათლებლო პოლიტიკის გამოწვევები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც იტალიის განათლების სისტემას აქვს, სახელმწიფო სასწავლო პროგრამის არარსებობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ სახელმძღვანელოები, რაც ზოგჯერ ართულებს ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლებას. „Opt-in“ მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ამ ენების სწავლებას მხოლოდ მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, კიდევ უფრო ზრდის ამ პრობლემას, რადგან ეს უმცირესობების ენებზე სწავლების მანქანებს მინიმუმამდე ამცირებს (Council of Europe, 2022).

მეორე გამოწვევა მასწავლებლების დეფიციტია (teacher shortage), რადგან განათლების სისტემას არ ჰყავს საკმარისად კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ასწავლიან უმცირესობების ენებს (certified minority language teachers). მაგალითად, რეგიონებში, როგორიცაა Friuli, Venezia, Giulia და Trentino-Alto Adige/Südtirol, უკვე არსებობს სპეციალიზირებული პროგრამები სლოვენური (Slovene), ფრიულიური (Friulian) და ლადინური (Ladin) ენებში, მაგრამ ზოგადად ეს ვერ უზრუნველყოფს ენის სწავლის უწყვეტობას (continuity of language education). გარდა ამისა, უმცირესობების საცხოვრებელი ადგილების იზოლაცია (geographical isolation) დამატებით სირთულეებს ქმნის სწავლების ამ სფეროში.

COVID-19-ის გავლენა

COVID-19-მა გაამწვავა პრობლემები, განსაკუთრებით ბომა და სინტი უმცირესობების ბავშვებისთვის. მათი სკოლის გარეშე დარჩენამ და ონლაინ განათლებაზე გადასვლამ გამოიწვია სერიოზული სირთულეები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა არსებული უთანასწორობის ხარისხი (inequality in access to education). მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ გამოყო €85 მილიონი სკოლების დისტანციური სწავლების პროგრამებისთვის, ეს რესურსი საკმარისი ვერ აღმოჩნდა პანდემიის ხანგრძლივი ეფექტების შესამცირებლად (Ministry of Education, 2020).

კარგი პრაქტიკა

მიუხედავად გამოწვევებისა, იტალიამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ეროვნული უმცირესობების განათლების სფეროში. მაგალითად, Trentino და Bolzano-ში, სადაც გერმანული და ლადინური ოფიციალურ ენებადაა აღიარებული და არსებობს ძლიერი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მრავალენოვან განათლებას (multilingual education). „Trentino trilingue“ პროგრამა, რომელიც სთავაზობს საათებს იტალიურად, გერმანულად და ინგლისურად, და Ladin Schools in the Fassa Valley, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს ბილინგვური განათლება (bilingual education), ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ასევე, აღსანიშნავია Valle d'Aosta, სადაც ფრანგული ენის სწავლება იტალიურთან თანაბარი დონით მიმდინარეობს. ეს რეგიონული პროგრამები გვიჩვენებს ეთნიკური უმცირესობების ენის სწავლების წარმატებულ მაგალითებს.

კიდევ ერთი დადებითი მოვლენაა ეროვნული სისტემის შექმნა იმ სკოლებისთვის, სადაც ისწავლება უმცირესობათა ენები (National Network for Schools with Minority Languages), რაც საშუალებას აძლევს სკოლებს გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა და განავითარონ საგანმანათლებლო რესურსები. ქსელი, რომელსაც აქვს ფინანსური მხარდაჭერა, დაეხმარა საგანმანათლებლო დაწესებულებებს უკეთ გაეცნონ უმცირესობების ენების სწავლების მეთოდებს. სარდინიის რეგიონული კანონი No. 22/2018 წარმოადგენს კარგი

პრაქტიკის მაგალითს ენის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. კანონი უზრუნველყოფს სარდინიული, ალგეროს კატალანური, სასარელი, გალიურული და ტაბარკინის ენების დაცვასა და სწავლების ხელშეწყობას. იგი ხელს უწყობს მრავალენოვან განათლებას, ენის სერტიფიცირებას და საჯარო სერვისებში ამ ენების გამოყენებას. გარდა ამისა, კანონი ქმნის “სარდინიული ენის საბჭოს,” რომელიც განსაზღვრავს ენის სტანდარტებსა და მისი გამოყენების სფეროებს.

მრავალკულტურურობა vs. უმცირესობათა უსაფრთხოების საკითხი

მუსოლინის მმართველობის პერიოდში (1920–1945 წლები) იტალიაში ენის უმცირესობებზე განხორციელდა აგრესიული ასიმილაციური პოლიტიკა (Van der Jeught, 2016, p. 62). ომის შემდეგ, 1948 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უმცირესობათა უფლებების დაცვის მიმართულებით (Haider-Quercia, 2020, p. 3). თუმცა, თანამედროვე იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ასიმილაციური პოლიტიკიდან მრავალფეროვნების ხელშეწყობისკენ გადადგა ნაბიჯები, უმცირესობათა დაცვის სფეროში მაინც შეინიშნება არათანაბარი მოქმედება (Penasa, 2019, p. 99). მომავალში მიგრანტთა ენების გამორიცხვა და რეგიონალური განსხვავებები შესაძლოა დიდ გამოწვევად იქცეს (Van der Jeught, 2016, p. 61; Paz, 2014, p. 478).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად იტალიის მოდელი ენობრივი უმცირესობების დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, თუმცა იმისთვის, რომ ქვეყანაში მცხოვრებმა თითოეულმა უმცირესობამ მიიღოს სწორი და თანმიმდევრული განათლება, აუცილებელია გაგრძელდეს სწავლება უმცირესობების ენებზე, ასევე, საჭიროა მეტი ინვესტიცია მასწავლებლის მომზადებასა და სასწავლო მასალების შექმნაში, რაც დაეხმარება ქვეყანას შეინარჩუნოს სვლა მეტი ინკლუზიის მიმართულებით.

იტალიის განათლების სისტემა

კატეგორია	იტალია
სეკულარული სისტემა	სეკულარულია, მაგრამ უზრუნველყოფილია ენობრივი უმცირესობების კულტურული და საგანმანათლებლო უფლებები. არსებობს პრაქტიკაში პრეფერენცია კათოლიკური აღმსარებლობის მიმართ
ცენტრალიზებული მართვა	განათლება აწილობრივ დეცენტრალიზებულია, რეგიონებს აქვთ ავტონომია, განსაკუთრებით სპეციალური სტატუტის მქონე რეგიონებში.
განათლების მოდელი	ინტერკულტურული განათლება, რომელიც მხარს უჭერს კულტურულ მრავალფეროვნებას.
რეგიონალური ავტონომია	განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი აქვთ Alto Adige/Südtirol, Valle d'Aosta/Val d'Aoste და Friuli-Venezia Giulia -ს.

იტალიის ენობრივი უმცირესობები

ენობრივი უმცირესობა

განათლების მხარდაჭერა

ალბანური	●	სკოლებში ბილინგვური განათლება
კატალანური	●	ცალკეული სკოლები კატალანურ ენაზე
გერმანული	●	განსაკუთრებული სტატუსი ალტო ადიჯეში
ბერძნული	●	ენის სწავლების პროგრამები
სლოვენური	●	ბილინგვური განათლება, სპეციალური რეგულაციები
ხორვატული	●	ენის სწავლების ხელშეწყობა
ფრანგული	●	ოფიციალური ენა ვალე დ'აოსტაში
ფრანკო-პროვანსული	●	ადგილობრივი სასწავლო პროგრამები
ფრიულური	●	ფრიულური ენის გაძლიერება სკოლებში
ლადინური	●	შერეული სწავლების მოდელი
ოქსიტანური	●	ოქსიტანური ენის პროგრამები
სარდინიული	●	სარდინიული ენის სწავლების გაძლიერება

უმცირესობათა განათლების გამოწვევები

იტალია	აღწერა
მუნიციპალური აქტივაციის სირთულე	482/1999 კანონის აქტივაცია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნაზეა დამოკიდებული.
არათანაბარი წვდომა რეგიონებში	ავტონომიურ რეგიონებში მცხოვრები უმცირესობები იღებენ მეტ მხარდაჭერას, ვიდრე სხვები.
მიგრანტთა ენების გამორიცხვა	კანონი არ იცავს მიგრანტთა ენებს, რაც ქმნის უთანასწორობას.
საფინანსო მხარდაჭერის არათანაბრობა	რეგიონებს შორის დაფინანსება განსხვავებულია.

ბიუროკრატიული სირთულეები	უმცირესობათა განათლების ადმინისტრაციული პროცესი რთულია.
პედაგოგების მომზადების პრობლემები	უმცირესობათა ენებზე მასწავლებელთა სიმცირე.

კარგი პრაქტიკა უმცირესობათა განათლებაში

კარგი პრაქტიკა	აღწერა
ბილინგვური განათლება	მოსწავლეები სწავლობენ ორენოვან გარემოში, რაც ეხმარება ენის შენარჩუნებას.
სპეციალური სტატუსის მქონე რეგიონების მხარდაჭერა	გერმანული, სლოვენური და ფრანგული ენებისთვის განსაკუთრებული უფლებები.
პედაგოგების მომზადება	მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები უმცირესობათა ენებზე სწავლებისთვის.
კულტურული და ენობრივი მხარდაჭერა	ფინანსური მხარდაჭერა კულტურულ ასოციაციებს და მედიას.
ადგილობრივი მონაწილეობა განათლების დაგეგმვაში	მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ განსაზღვრონ სასწავლო პროგრამების სპეციფიკა.

სტრატეგიები უმცირესობათა განათლების გასაუმჯობესებლად

სტრატეგია	მიზანი
482/1999 კანონის განახლება	უმცირესობათა ენების დაცვის მექანიზმების გაძლიერება.
მიგრანტთა ენების აღიარება	მულტიკულტურული განათლების ჩართვა მიგრანტებისთვის.
ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა	დაფინანსების უფრო თანაბარი განაწილება რეგიონებში.
ტექნოლოგიური ინოვაციები განათლებაში	ციფრული სწავლების ხელსაწყოების ინტეგრაცია.
ინკლუზიური პოლიტიკის განვითარება	განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრაციის გაძლიერება.

- » Akkari, Abdeljalil, and Myriam Radhouane. *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*. Cham, Switzerland: Springer Nature, 2022.
- » Ainscow, M. (2005). Creating the Conditions for Inclusion in Schools. *Journal of Education*, 38(6), 455–474.
- » Banks, J. A. (2015). *Cultural Diversity and Education: Foundations, Curriculum, and Teaching* (6th ed.). Pearson Education.
- » Brubaker, Rogers. (2004). *Ethnicity without Groups*. Harvard University Press, p. 101.
- » Council of Europe. (2012). *Diversity Advantage: Managing Cultural Diversity in European Schools*. Strasbourg: Council of Europe Publishing.
- » Council of Europe. (2024). *ECRI Report on France (Sixth Monitoring Cycle)*. Strasbourg: European Commission against Racism and Intolerance.
- » Council of Europe. (2024). *ECRI Report on Italy (Sixth Monitoring Cycle)*. Strasbourg: European Commission against Racism and Intolerance.
- » Council of Europe. (2024). *ECRI Report on Lithuania (Sixth Monitoring Cycle)*. Strasbourg: European Commission against Racism and Intolerance.
- » Council of Europe. (2024). *ECRI Report on Switzerland (Sixth Monitoring Cycle)*. Strasbourg: European Commission against Racism and Intolerance.
- » Cummins, J. (2000). *Language, Power, and Pedagogy: Bilingual Children in the Cross re. Multilingual Matters*.
- » Deardorff, D. K. (2009). *The SAGE Handbook of Intercultural Competence*. SAGE Publications.
- » Derman-Sparks, L., & Edwards, J. O. (2010). *Anti-Bias Education for Young Children and Ourselves*. National Association for the Education of Young Children.
- » European Commission. (2021). *Education and Training Monitor: Switzerland’s Integration Policies*. Brussels: European Union.
- » Federal Office for Statistics (OFS). (2021). *Annual Report on Education and Migration in Switzerland*. Bern: OFS Publications.
- » Kymlicka, Will. (1995). *Multicultural Citizenship: A Liberal Theory of Minority Rights*. Oxford University Press, pp. 42, 58.
- » Ladson-Billings, G. (1995). But That’s Just Good Teaching! The Case for Culturally Relevant Pedagogy. *Theory into Practice*, 34(3), 159–165.
- » McGarry, John. (2010). “Theories of Nationalism.” In *Nationalism: A Very Short Introduction*, Oxford University Press, p. 112.
- » Modood, Tariq. (2013). *Multiculturalism: A Civic Idea*. Polity Press, p. 82.
- » Nussbaum, Martha C. (2003). *Sex and Social Justice*. Oxford University Press, p. 59.
- » OECD. (2020). *PISA Report: The Educational Outcomes of Migrant Students in Switzerland*. Paris: OECD Publishing.
- » OECD and UNICEF. 2024. *Education in the Eastern Partnership: Findings from PISA*. Paris: OECD Publishing.

- » Pettigrew, T. F., & Tropp, L. R. (2006). A Meta-analytic Test of Intergroup Contact Theory. *Journal of Personality and Social Psychology*, 90(5), 751-783.
- » Swiss Conference of Cantonal Directors of Public Instruction (CDIP). (2022). *Education Governance in Switzerland*.
- » Tajfel, H., & Turner, J. C. (1986). The Social Identity Theory of Intergroup Behavior. In S. Worchel & W. G. Austin (Eds.), *Psychology of Intergroup Relations* (pp. 7-24). Chicago: Nelson-Hall.
- » Taylor, Charles. (1992). *The Politics of Recognition*. Harvard University Press, p. 25.
- » UNESCO. (2006). *Guidelines for Intercultural Education*. Paris: UNESCO.
- » Villegas, A. M., & Lucas, T. (2007). The Culturally Responsive Teacher: A Framework for Addressing Diversity in Education. *Journal of Teacher Education*, 58(4), 347-350.
- » Abdeljalil Akkari & Myriam Radhouane. (2022). *Intercultural Approaches to Education: From Theory to Practice*. Springer Nature.
- » ფერაღიშვილი, ზ. (2007). ნაციონალიზმი და განათლება. ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები (სერია „ევროპული ძიებანი“, სტატიების კრებული, 2006). თბილისი.
- » მასალკინი, გიორგი. “საქართველოს პოლიეთნიკურობა და პოლირელიგიურობა: საფრთხე თუ გასაფრთხილებელი მონაპოვარი?” სამოქალაქო იდეა, თბილისი, 2020.
- » ტაბატაძე, შ., & გორგაძე, ნ. (2020). ინტერკულტურული მონიჭეულობის კვლევა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.
- » სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. (2014). ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით.
- » სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2014). მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. თბილისი, საქართველო.